7471

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

ხუთშაბათი
15 აგვისტო
1940 წ.
№ 188 (5889)
ფასი 10 კაპ.

КОМУНИСТИ
ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ახალი საწარმოო გამარჯვებებით შევხვდეთ სტახანოვური მოძრაობის ხუთი წლისთავს

მალე მთელი ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყანა აღნიშნავს სახელოვან თარიღს — სტახანოვური მოძრაობის ხუთი წლისთავს. მალე ხუთი წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც დონბასში სტალინის სახელობის „ცენტრალნაია ირმინოს“ შახტში გაისმა შრომის ლეგენდარული გმირის ალექსი სტახანოვის სანგრევი უროს დევგმირული დარტყმის ხმა, რომელმაც დასაბამი მისცა ამ ძლევამოსილ მოძრაობას.

ამასწინათ სწორედ ამავე შახტის მაღაროელებმა წინადადებით მიმართეს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მრეწველობისა და ტრანსპორტის ყველა მუშაკს — სტახანოვური მოძრაობის ახალი ძალით გაშლის, მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების ახალ ვითარებასთან გადასინჯვისა და სტახანოვური მოძრაობის ხუთი წლისთავის ღირსეულად შეხვედრის შესახებ.

დონბასელთა ეს კიდევ ახალი ინიციატივა შემთხვევითი არ არის. ამის საფუძველია რვა საათის სამუშაო დღესა და შვიდდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლით შექმნილი შესაძლებლობანი, რომლებიც იძლევიან იმის უტყუარ გარანტიას, რომ განუხრელად ვზარდოთ შრომის ნაყოფიერება, დამატებით მივცეთ სამშობლოს მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

„ახლა ჩვენ თავს უფრო გადიდებული მოთხოვნები უნდა წავუყენოთ,—სწერენ მიმართვაში ირმინოელები, — ჩვენ ყველამ უნდა გადავსინჯოთ სოციალისტურ შეჯიბრებაში ნაკისრი ვალდებულებანი მათი გადიდების მხრივ. ახალი სოციალისტური ხელშეკრულება უნდა ასახავდეს ჩვენს ნება-სურვილს და მისწრაფებას მივცეთ ჩვენს ქვეყანას რაც შეიძლება მეტი სამრეწველო პროდუქცია, რომ სახალხო მეურნეობა სავსებით უზრუნველყოფილი იქნას ყველაფრით, რაც მისთვის საჭიროა“.

ეს შესანიშნავი მიმართვა სწრაფად მოედო საქართველოს საწარმოებს. უკვე კარგა ხანია დაიწყო სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებათა გადასინჯვა, ახალი რეზერვებისა და შესაძლებლობების გამოვლინება. ახლა გაშლილა ბოლშევიკური, ნამდვილად საქმიანი ბრძოლა სტახანოვური მოძრაობის ხუთი წლისთავის სასახელო საწარმოო მაჩვენებლებით შეხვედრისათვის.

აღებულ ვალდებულებათა გადასინჯვა მათი გადიდების მიზნით კვლავ გრძელდება. ახლა მთავარი ის არის, რომ ამ საქმეს ზერელედ არ მოვეკიდოთ, საპარადო ხმაურითა და საზეიმო დაპირებებით არ შევცვალოთ იგი, რადგან ეს ყოველი ცოცხალი საქმის ყველაზე დიდი მტერია. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ბოლომდე ჩავწვდეთ წარმოების ეკონომიკას, შევისწავლოთ წარმოების ყველა შესაძლებლობანი, ჩავაბათ ამ საქმეში მოწინავე, საქმის მცოდნე სპეციალისტები, სტახანოველები და დამკვრელები — თვით სოციალისტური შეჯიბრების აქტიური მონაწილენი.

ამისათვის ფართოდ უნდა გამოვიყენოთ საწარმოო თათბირები, რომლებსაც ჩვენი პარტია ყოველთვის აფასებდა, ყოველთვის დიდ მნიშვნელობას აძლევდა. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ახალი ხელშეკრულებები და ვალდებულებანი იქნეს საქმიანი, კონკრეტული, ისეთი, რომ უპასუხებდეს ჩვენი სახალხო მეურნეობის მზარდ სასიცოცხლო ინტერესებს.

ამ დღეებში თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხნის საამქროებში ჩატარებულმა საწარმოო თათბირებმა გამოამჟღავნეს, რომ ჩვენ საწარმოებს ამოუწურავი შესაძლებლობანი გააჩნიათ, მაგრამ ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ ვიყენებთ მათ.

კომპლექსური ბრიგადის უფროსმა, ცნობილმა მექვაბემ ივ. სელიხოვმა საწარმოო თათბირზე განაცხადა:

— გამოვიანგარიშეთ რა ჩვენი ბრიგადის შესაძლებლობანი, მოვიფიქრეთ ჩვენი ახალი ვალდებულებანი. აღმოჩნდა, რომ აგვისტოში ჩვენ ბრიგადას ორთქლმავლის 9 ქვაბის ნაცვლად შეუძლია შეაკეთოს 11 ქვაბი. ეს იქნება ჩვენი ახალი ვალდებულება და სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ ამხ. ფილიმონოვის კომპლექსურ ბრიგადასო.

ამხ. სელიხოვის ბრიგადის ვალდებულება ლიტონ სიტყვად არასოდეს არ რჩება ხოლმე. ამ შემთხვევაშიც ბრიგადა კეთილსინდისიერად ასრულებს აღებულ ვალდებულებას. 10 აგვისტოსათვის მას შეკეთებული ჰქონდა ორთქლმავლის 5 ქვაბი.

თავდადებული და მამაცური შრომის ნიმუშებს იძლევიან აგრეთვე ამხ. ვ. ფილიპჩუკისა და ი. ბაბაევის ბრიგადები. ისინი ახალ ნორმებს 500-600 პროცენტით ასრულებენ.

ამხ. ფილიპჩუკის ბრიგადა ორთქლმავლის ქვაბის საცეცხლე უუთის დამზადების სასწაულებს ახდენს. ბრიგადას თავისი მუშაობით მთელი ქარხანა განცვიფრებაში მოჰყავს. ამხ. ფილიპჩუკის ბრიგადამ დაამსხვრია გამომუშავების ძველი ნორმები, რომლებიც ზღვრულად იყო მიჩნეული. ამხ. ალ. პორტნოვი, ივ. ფომენკო, ივ. კაშიბა,—აი ამხ. ფილიპჩუკის ბრიგადის სახელოვანი მეჭვაბეები, რომლებიც ახალ საწარმოო გამარჯვებებს უმზადებენ სტახანოვური მოძრაობის ხუთი წლისთავს.

ანდა ავიღოთ ამწყობი საამქრო. აქ ამხ. გ. ზანგურაშვილისა და ვ. ონიანაშვილის საკომპლექსო ბრიგადებს ორთქლმავლების შეკეთების ნახევარი თვის გეგმა 10 აგვისტოს ჰქონდათ შესრულებული. მთლიანად საამქრომ კი უკვე 12 აგვისტოსათვის მისცა ქვეყანას 16 ორთქლმავალი.

შესანიშნავი საწარმოო გამარჯვებებით ხვდებიან სტახანოვური მოძრაობის ხუთი წლისთავს აგრეთვე თბილისის საორთქლმავლო დეპოს სტახანოველები. ამხ. შ. ხიზანაშვილის და ვ. მიხანაშვილის ბრიგადები დავალებებს სისტემატურად 300-400 პროცენტით ასრულებენ.

დაუნდობელი ბრძოლა ზარმაცების, გამცდენების, ცუღლუტების, წარმოების ყველა ჯურის დეზორგანიზატორების წინააღმდეგ, შრომის რკინისებური დისციპლინა, სამუშაო დღის 480 წუთის სრული დატვირთვით გამოყენება, პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის დაუღალავი ბრძოლა, სტახანოვური მოძრაობის უფრო ფართოდ გაშლა—აი საშუალებათა ის კომპლექსი, რომელიც უზრუნველჰყოფს შრომის ნაყოფიერების განუხრელად ზრდას, ჩვენი სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების კიდევ უფრო განმტკიცებას, ჩვენი ქვეყნის ძირითადი ეკონომიური ამოცანის უმოკლეს დროში გადაჭრას.

ახალი საწარმოო გამარჯვებებით შევხვდეთ სტახანოვური მოძრაობის ხუთი წლისთავს, ახალ ვალდებულებათა შესრულების პირველ სახალხო შემოწმების დღეს!—ასეთია ყველა პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკის გადაუდებელი ამოცანა, მათი სახელისა და ღირსების საქმე.

ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲓᲔᲡᲐᲜᲘᲡ ᲑᲠ Გ. ᲒᲐᲣᲪᲜᲙᲣᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲐᲛᲮ. ᲘᲝ. ᲕᲘ. ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ

ა. წ. 13 აგვისტოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო რუმინეთის ახალი საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი ბ-ნი გ. გაფენკუ.

ᲡᲐᲑᲔᲭᲓᲜᲔᲗᲘᲡ ᲓᲔᲡᲐᲜᲘᲡ Ბ-ᲜᲘ Ხ. ᲓᲘᲐᲛᲐᲜᲢᲝᲞᲣᲚᲝᲡᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲐᲛᲮ. ᲘᲝ. ᲕᲘ. ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ

ა. წ. 13 აგვისტოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო საბერძნეთის ახალი საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი ბ-ნი ხ. დიამანტოპულოსი.

ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲗᲐᲗᲑᲘᲠᲝᲡ ᲡᲠᲣᲚᲣᲤᲚᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲨᲘ

ლენინგრადი, 13 აგვისტო (საკდესი). დღეს ლენინგრადის ჩამოვიდნენ ესტონეთის რესპუბლიკის სახელმწიფო სათათბიროს სრულუფლებიანი კომისიის წევრები, რომლებიც სამშობლოში მიემგზავრებიან.

დღისით სრულუფლებიანი კომისიის წევრები ეწვივნენ პეტერჰოფს, სადაც დაათვალიერეს სასახლეები, პარკი, შადრევნები.

ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲔᲓᲐᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

მოსკოვიდან, სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის მთავარი კომიტეტისაგან თბილისში მიღებულია დიდი და პატარა ოქროს მედლები, რომლებიც მიენიჭათ საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მოწინავეთ — 1939 წლის გამოფენის მონაწილეთ. მიღებულია აგრეთვე დამატებით მიჩენებული დიდი და პატარა ვერცხლის მედლები (ვერცხლის მედლების ერთი ნაწილი დაჯილდოებულთ წინათ გადაეცათ).

ᲚᲘᲢᲕᲘᲡ ᲡᲔᲘᲛᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲣᲤᲚᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲩᲐᲡᲕᲚᲐ ᲕᲘᲜᲜᲝᲡ

ვილნო, 13 აგვისტო (საკდესი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VII სესიიდან ვილნოს ჩამოვიდა ლიტვის სეიმის სრულუფლებიანი კომისია.

მატარებლის მოსვლამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე ვაგზლის მოედანზე თავი მოიყარეს მუშათა, მოსამსახურეთა, მშრომელი ინტელიგენციის ხალხმრავალმა დელეგაციებმა. ვილნოს ოლქიდან ჩამოვიდნენ ფაბრიკებისა და ქარხნების დელეგაციები, მშრომელი გლეხობის წარმომადგენლები.

მოედანზე დაახლოებით 100.000 კაცი შეიკრიბა.

ვაგზლის პერონზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული წითელი არმიისა და ლიტვის სახალხო არმიის ნაწილებისაგან.

სრულუფლებიანი კომისიის წევრთა გამოჩენას მოედანზე შეკრებილნი შეხვდნენ მჭუხარე ტაშით, „ვაშას“ ძახილით, შეძახილებით: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!“ „გაუმარჯოს საბჭოთა ლიტვას—საბჭოთა ხალხების ოჯახის ახალ წევრს!“ გაუმარჯოს ხალხთა ბელადს ამხანაგ **სტალინს!“**

გაიმართა მიტინგი, რომელზედაც გამოვიდა ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობის აღმსრულებელი ამხ. პალეცკისი. მან მგზნებარე სალამი გადასცა შეკრებილთ და ყველა მშრომელს მოუწოდა მთელი თავისი ძალა და ენერგია ახალი საბჭოთა რესპუბლიკის აყვავების კეთილდღეობას მოახმაროონ.

მიტინგი მჭუხარე ტაშით შეხვდა წინადადებას ამხანაგ **სტალინისათვის** მისასალმებელი დეპეშის გაგზავნის შესახებ.

მატარებელი კაუნასისაკენ წავიდა, რომლის დროსაც წითელი არმიისა და ლიტვის სახალხო არმიის ნაკრებმა ორკესტრმა მარში შეასრულა.

ᲚᲘᲢᲕᲘᲡ ᲡᲔᲘᲛᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲣᲤᲚᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲩᲐᲡᲕᲚᲐ ᲙᲐᲣᲜᲐᲡᲨᲘ

კაუნასი, 13 აგვისტო (საკდესი). ლიტვის სეიმის სრულუფლებიანი კომისიის შესახვედრად ვაგზლის მოედანზე დაახლოებით ასი ათასი მშრომელი შეიკრიბა. აქ იყვნენ: კაუნასის საწარმოების მრავალრიცხოვანი კოლონები, დაწესებულებათა მოსამსახურეები, გლეხთა დელეგაციები.

მოედანზე შესდგა მიტინგი. რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობის აღმსრულებელმა ამხ. პალეცკისმა, რომელსაც დამსწრენი მჭუხარე ტაშით შეხვდნენ, შეკრებილთ სიტყვით მიმართა:

— იმ დროშით, რომელიც ჩვენ ჩამოვიტანეთ, — სთქვა ამხ. პალეცკისმა, — მთელი მშრომელი ლიტვა ბედნიერი ცხოვრებისაკენ წავა. ჩვენ ყველანი ვიბრძოლებთ კომუნისტური იდეალისათვის და, თუ საჭირო იქნება, ყველანი, როგორც ერთი კაცი, გამოვალთ ჩვენი ახალი სამშობლოს საზღვრების დასაცავად.

მჭუხარე ტაშით მიღებულ იქნა მისალმება ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინისადმი.

ᲚᲘᲢᲕᲘᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲠᲘᲒᲐᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ

რიგა, 13 აგვისტო (საკდესი). მთელ გზაზე, რომლითაც ლატვიის სს რესპუბლიკის სეიმის სრულუფლებიანი კომისია მოსკოვიდან ბრუნდებოდა, მშრომელები მას აღფრთოვანებულ ოვაციას უმართავდნენ, ყოველი სადგური მორთულია წითელი დროშებით, ამხანაგების **სტალინისა** და **მოლოტოვის**, პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელთა პორტრეტებით. სადგურები მწვანეულსა და ყვავილებში იყო ჩაფლული.

მატარებელი რიგას უახლოვდება. ვაგზლის მოედანი ხალხით არის გაჭედილი. წითელი დროშებით, ბელადთა პორტრეტებით, პლაკატებით, ყვავილებით მოვიდნენ ათასობით მშრომელები, რათა შეხვდნენ მათ მიერ არჩეულთ, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VII სესიაზე გამოდიოდნენ.

ვაგზლის შენობა სადღესასწაულოდ არის მორთული. აქ ჩამწკრივებულია მუშათა გვარდიის საპატიო ყარაული. პლათფორმის ორივე მხარეზე ჩამწკრივებულან საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. პერონზე დგას სახალხო არმიის საპატიო ყარაული. იქვე არიან მთავრობის წევრები, ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და სხვები.

მატარებლის მოსვლას შეკრებილნი მჭუხარე ტაშით და „ინტერნაციონალის“ სიმღერით შეხვდნენ.

ვაგზალზე გაიმართა მიტინგი, რომელიც გადაიქცა მხურვალე სახალხო მანიფესტაციად ლატვიის სს რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირის ხალხების, მშრომელთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** პატივსაცემად.

ᲑᲔᲡᲐᲠᲐᲑᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲑᲣᲙᲝᲕᲘᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲡᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ

კიევი, 13 აგვისტო (საკდესი). დღეს მოსკოვიდან საბჭოთა უკრაინის დედაქალაქს ჩამოვიდნენ ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის წარმომადგენლები.

ᲚᲘᲢᲕᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲗᲐᲗᲑᲘᲠᲝᲡ ᲡᲠᲣᲚᲣᲤᲚᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲨᲘ

ლენინგრადი, 13 აგვისტო (საკდესი). დღეს ლენინგრადის ჩამოვიდნენ ლატვიის რესპუბლიკის სახელმწიფო სათათბიროს სრულუფლებიანი კომისიის წევრები, რომლებიც სამშობლოში მიემგზავრებიან.

დღისით სრულუფლებიანი კომისიის წევრები ეწვივნენ პეტერჰოფს, სადაც დაათვალიერეს სასახლეები, პარკი, შადრევნები.

ᲑᲔᲡᲐᲠᲐᲑᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲑᲣᲙᲝᲕᲘᲜᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს —

ამხანაგ **ი. ბ. სტალინს**

სსრკ სახკომსაბჭოს — ამხანაგ **ვ. მ. მოლოტოვს**

ჩვენ, განთავისუფლებული ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის მშრომელთა დელეგაციის წევრები, რომლებიც დღეს შინ ვბრუნდებით, მამაშვილური სიყვარულის გრძნობით მადლობას გწირავთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო **სტალინ** და ამხანაგო **მოლოტოვ** და თქვენი სახით — ბოლშევიკთა დიად კომუნისტურ პარტიას და მშობლიურ საბჭოთა მთავრობას.

ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის ხალხები არასოდეს არ დაივიწყებენ ყოველივე იმას, რაც გააკეთეთ თქვენ, ამხანაგო **სტალინ**, და საბჭოთა მთავრობამ ამხანაგ **მოლოტოვის** მეთაურობით მოლდაველ და უკრაინელ ხალხთა გაერთიანებისათვის.

საბჭოთა კავშირმა, მისმა გმირულმა წითელმა არმიამ საშუალება მოგვცეს ჩვენ, როგორც შვილებს, გულში ჩავკროდით დედას — საყვარელ სამშობლოს.

რუმინელთა ხიშტების მესერი მრავალი წლის განმავლობაში გვაშორებდა თვისტომ ძმებს დნესტრის გაღმა, სადაც მოლდაველი და უკრაინელი ხალხები საბჭოთა ხალხების ბედნიერ ოჯახში ცხოვრობდნენ.

უუფლებობის, გაჭირვებისა და არაადამიანური ტანჯვის უმძიმეს წლებში ჩვენ, ჩაგრულებს, ერთი აზრი, ერთი გრძნობა გვასულდგმულებდა:

— არსებობს ქვეყნიერებაზე მოსკოვი! არის **სტალინი**, — მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადი და მამა. თქვენი სახელი, ამხანაგო **სტალინ**, აღგვაფრთოვანებდა ჩვენ დამმონებელთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

და აი აგვიხდა ნატვრა, ჩვენ თავისუფალნი ვართ. ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის ხალხები მშობლიური სოციალისტური სამშობლოს ძმურ ოჯახს შეუერთდნენ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VII სესიის ისტორიულ დღეებში ჩვენ, ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის განთავისუფლებულ ხალხთა მიერ წარმოგზავნილნი, ვიყავით კრემლის დიდებულ სასახლეში, ვესწრებოდით სოციალისტური პარლამენტის სხდომებს.

ჩვენ კრემლში მოვედით, როგორც სტუმრები, შინ კი ვბრუნდებით, როგორც მე-13 მოკავშირე მოლდაველთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და საბჭოთა უკრაინის სრულუფლებიანი მოქალაქენი.

ბესარაბიის აყვავებული ვენახებიდან, ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის ბაღებიდან და ყანებიდან, წყალუხვი დუნაის საბჭოთა ნაპირებიდან კრემლის ლალის ვარსკვლავებთან, თქვენთან, ამხანაგო **სტალინ**, გულწრფელი მადლობა და სიყვარული მოგაქვთ ჩვენს განთავისუფლებულ ხალხებს.

როგორც სოციალისტური სამშობლოს ერთგული ვაჟები და ქალები, სიტყვას გაძლევთ თქვენ, ამხანაგო **სტალინ** და ამხანაგო **მოლოტოვ**, რომ გავამრავლებთ ჩვენი სამშობლოს — სსრ კავშირის, მისი განუყრელი ნაწილის მე-13 მოკავშირე მოლდაველთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და საბჭოთა უკრაინის სიმდიდრეს, განვამტკიცებთ მის თავდაცვას.

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობის მეთაურს ამხანაგ **მოლოტოვს**!

გაუმარჯოს ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის სამუდამოდ განთავისუფლებული ხალხების ბედნიერი, სასიხარულო ცხოვრების შემოქმედს — ამხანაგ **სტალინს**!

ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის მშრომელთა დელეგაცია:
ნ. გუმალიკი, პ. პერევერზუ, ე. კუზინა, ს. გორსკაია, ნ. გოლუბი, ზ. კრეჩუნესკუ, ვ. ბოჟანი, ი. მელნიჩენკო, ი. კირილიუკი, ფ. ვაკარჩუკი, ვ. ჩუმაკი, პ. ბრიჩაკი, ი. ფელდმანი, ფ. ხამოჯა, ს. კასა, ვ. გურა, ი. ბატიშჩევი, ფ. უდუდენკო, ნ. ჩორნაია, ე. ტიმოშენკო, ი. კოზაჩუკი, ლ. ლუკა, პ. ოლიინიკი, ნ. მიხალჩუკი, ა. ანტონიაკი, ნ. პავლიუკი, მ. დოქტოროვიჩი, ე. პანჩუკი, ს. შინდერი, ი. მორარი, ნ. ნაუმოვი.

ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲗᲐᲗᲑᲘᲠᲝᲡ ᲡᲠᲣᲚᲣᲤᲚᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს —

ამხანაგ **ი. ბ. სტალინს**

სსრკ სახკომსაბჭოს — ამხანაგ **ვ. მ. მოლოტოვს**

ჩვენ, ესტონეთის რესპუბლიკის სახელმწიფო სათათბიროს სრულუფლებიანი კომისიის წევრები, ვბრუნდებით რა დღეს მოსკოვიდან ტალინს, საკ. კ. პ. (ბ) ლენინურ-სტალინურ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და პირადად თქვენ, იოსებ ბესარიონის-ძევ, და ვიაჩესლავ მიხეილის-ძევ, გიძღვნით ჩვენს გულწრფელ, მგზნებარე სალამს მთელი განთავისუფლებული ესტონელი ხალხის სახელით.

ჩვენ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან მოქალაქეებად ვბრუნდებით, ესტონელი ხალხი სსრ კავშირის ხალხთა დიადი ოჯახის სრულუფლებიანი წევრი გახდა. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ გვსურს გამოვხატოთ ჩვენი უდიდესი სიხარული, რომლითაც აღსავსეა ჩვენი გული და რომელიც შემოქმედებითი ინიციატივისა და გმირობისაკენ მოგვიწოდებს.

სსრ კავშირში გატარებულმა 15 დღემ მარუშელი და ღრმად ამაღელვებელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. ჩვენ ვნახეთ ისტორიული ნაგებობანი — მეტრო, მოსკოვ-ვოლგის არხი, სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომლებითაც კანონიერად ამაყობენ ყველა საბჭოთა მოქალაქენი. ჩვენ ვინახულეთ მთელი რიგი სამრეწველო საწარმოები, მუზეუმები, დაწესებულებები და ყველგან გვაოცებდა მეცნიერების, ტექნიკისა და ხელოვნების განვითარების წარმატებანი, რომლებსაც სოციალისტური ქვეყნის მუშებმა, გლეხებმა და ინტელიგენციამ მიაღწიეს. საბჭოთა ადამიანები განსაკუთრებული ადამიანები არიან. სძლევენ რა ყველა სიძნელეებს, ისინი სრული რწმენით და ძლევამოსილად მიემართებიან კომუნიზმისაკენ. სოციალისტური მშენებლობის ეს პათოსი გვაფრთოვანებს ჩვენ, გვაძლევს ჩვენი ძალებისადმი რწმენას, იმის რწმენას, რომ ესტონეთს დიადი საბჭოთა კავშირის მოწინავე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გადავაქცევთ.

ერთი თვეც არ გასულა მას შემდეგ, რაც ესტონეთში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა, მაგრამ უკვე გადადგმულია პირველი ნაბიჯები მშრომელთა მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესებისაკენ. მსხვილი მრეწველობისა და ბანკების ნაციონალიზაციამ მოგვცა შრომის ნაყოფიერების ზრდის, უახლოეს დროში უმუშევრობის სრული ლიკვიდაციის განსაკუთრებული შესაძლებლობანი. მთელ რიგ საწარმოებში პროდუქციის გამომუშავება 50-80 პროცენტით გაიზარდა. გაჩნდნენ სოციალისტური შრომის მოწინავენი, მუშათა რიგებიდან დაწინაურდნენ მრეწველობის ახალი ხელმძღვანელნი, სოციალიზმის საქმის ერთგულნი. მიწა ნაციონალიზებულია. უმიწაწყლო და მცირემიწიანი გლეხები უზრუნველყოფილი არიან მიწით. ესტონეთის მშრომელმა გლეხობამ ყოველგვარი შეღავათები მიიღო. მშრომელმა ინტელიგენციამ მიიღო პირობები თავისი ძალოვნის გამოსაყენებლად მეცნიერების, ტექნიკისა და ხელოვნების სარბიელზე. საუკუნეებით ჩაგრული ესტონელი ხალხი ახლად იბადება, დაიწყო მისი მატერიალური და სულიერი ძალების გაფურჩქვნა.

მხურვალე მადლობას გიძღვნით თქვენ, ამხანაგო **სტალინ**, და თქვენ, ამხანაგო **მოლოტოვ**, ხოლო თქვენი სახით საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს იმ დახმარებისათვის, რაც ბალტიისპირა ხალხებს გაუწიეთ. მხოლოდ სსრ კავშირისა და მამაცი წითელი არმიის დახმარებით დაიღწია ესტონეთმა თავი ომს და მშვიდობიანობის სიკეთით სარგებლობს. ესტონელი ხალხი ყოველთვის მხარს უჭერდა სსრ კავშირის ხალხებთან ურღვევ მეგობრობას. ესტონელმა ხალხმა თავისი ნება-სურვილი გამოხატა სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დროს. მან მოიშორა კაპიტალისტთა, ბანკირთა, მსხვილ მიწათმფლობელთა უღელი და დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება.

ვბრუნდებით რა ესტონეთში, სიტყვას ვაძლევთ ჩვენს დიდ **სტალინს**, რომ ღირსეულად შევასრულებთ ყველა მის მითითებას, შევასრულებთ სსრ კავშირის მოქალაქის წმინდა მოვალეობას — დაუღალავად ვიმუშავებთ სოციალისტური სამშობლოს განმტკიცებისა და დაცვისათვის, სოციალისტური მშენებლობის დიადი ამოცანების განხორციელებისათვის.

სიტყვას გაძლევთ თქვენ, ამხანაგო **სტალინ** და ამხანაგო **მოლოტოვ**, რომ ბალტიის ზღვის ნაპირებზე სოციალისტური მშენებლობის წითელი ვარსკვლავი ნათლად იკაშკაშებს 16 მოკავშირე რესპუბლიკის თანავარსკვლავედში და განთავისუფლების გზას უჩვენებს ჩაგრულ და დამონებულ ხალხებს.

გაუმარჯოს 16 მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხალხთა ურღვევ მეგობრობას!

გაუმარჯოს უძლეველი საბჭოთა კავშირის მთავრობას და მის მეთაურს ამხანაგ **მოლოტოვს**!

გაუმარჯოს მსოფლიოს ყველა ხალხთა ბელადსა და მასწავლებელს — ჩვენს მშობლიურ მამას იოსებ ბესარიონის-ძე **სტალინს**!

ესტონეთის სს რესპუბლიკის სახელმწიფო სათათბიროს სრულუფლებიანი კომისიის წევრები:
ი. ვარესი (ბარბარუსი), ი. ლაურისტინი, ნ. რუუსი, ა. პილტსი, ი. ტელმანი, ა. მუი, ა. იანსონი, ნ. ანდრეზენი, ი. უუსტალუ, პ. კეერდო, გ. აბელსი, ი. ოინასი, მ. იურნა, რ. ლიივი, ი. ენლანე, ა. კიიდელმა, ვ. ხალდრე, ნ. ტიხანოვა, ლ. ვალტსი, მ. სიშჩიკოვი, გ. ტაალმანი.

1940 წლის 12 აგვისტო
ქ. მოსკოვი.

ᲚᲘᲢᲕᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲔᲘᲛᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲣᲤᲚᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს —

ამხანაგ **ი. ბ. სტალინს**

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

გბრუნდებით რა საბჭოთა ლატვიაში, უღრმეს მადლობას გიძღვნით იმ გულითადი მიღებისათვის, რომელიც მშობლიურ მოსკოვში მოგვეწყეს. საბჭოთა კავშირის ხალხების — ხალხის რჩეულთა — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა სახით, მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობისა და მოსკოვის მოსახლეობის გულითადმა და ძმურმა მოპყრობამ ჩვენდამი ყოველგვარ ჩვენს მოლოდინს გადააჭარბა.

ყოველივე იმან, რაც ჩვენი საკუთარი თვალით ვნ

მოსკოვის პარტორგანიზაციის აქტივის კრება

12-13 აგვისტოს კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში შესდგა საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საოლქო და საქალაქო ორგანიზაციის აქტივის კრება, მიძღვნილი საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის შედეგებისადმი.

კრება გახსნა საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. **ა. ს. შჩერბაკოვმა.** ერთხმად მჭუხარე ტაშით, არჩეულ იქნა კრების საპატიო პრეზიდიუმი — საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ **სტალინის** მეთაურობით.

მოხსენებით საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის შედეგების შესახებ გამოვიდა საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ა. ს. შჩერბაკოვი, რომელსაც ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, — ამბობს ამხ. შჩერბაკოვი,—მოისმინა ამხანაგ მოლოტოვის მოხსენება მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ და მოიწონა იგი, განიხილა მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების საკითხი, „რვა საათის სამუშაო დღეზე, შვიდდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის შესახებ და საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მუშებისა და მოსამსახურეების თვითნებურად წასვლის აკრძალვის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების ცხოვრებაში გატარების კონტროლის საკითხი. პლენუმმა მოიწონა აგრეთვე სსრ კავშირის სახკომსაბჭოს წინადადება სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ.

— ამხანაგ მოლოტოვის მოხსენებამ,—ამბობს ამხ. შჩერბაკოვი,—გაკეთებულმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიაზე, ამომწურავი სიცხადითა და სისრულით გააშუქა საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკა და ამ უკანასკნელ ხანს შექმნილი საერთაშორისო ურთიერთობა. ეს მოხსენება მთლიანად გამოქვეყნებულია პრესაში.

შემდეგ ამხ. შჩერბაკოვი გადადის მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების საკითხზე. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა გავითვალისწინოთ გასული წლის შეცდომები და არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიმეოროთ ისინი. რით გამოიხატა ეს შეცდომები? უწინარეს ყოვლისა მოსავლის აღების გაჭიანურებით. ელოდებოდნენ მთელი მასივების მომწიფებას და არ იღებდნენ მოსავალს ნაწილ-ნაწილ, ცალკეული ნაკვეთების მომწიფების მიხედვით. ცუდად იყენებდნენ ცოცხალ გამწევ ძალას, დიდ დაგვიანებას უშვებდნენ მკასა, დაზვინვასა და გალეწვას შორის, საკმაო ბრძოლას არ ეწეოდნენ მტკიცე შრომითი საკოლმეურნეო დისციპლინისათვის, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების პარკებში არ აღმოჩნდა ისეთი მანქანები, როგორიცაა სამკელ—„ლობოგრეიკები“, სამკელ—თვითმყრელი და მოსავლის ასაღები სხვა მანქანები.

წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება პირველად ეწარმოებს ახლებურად. ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს დადგენილების შესაბამისად, რომლის მიხედვითაც ჩაბარება გამოიანგარიშება კოლმეურნეობაზე მიმაგრებულ თვითეულ ჰექტარ სახნავიდან. ეს ახალი წესი ერთსულოვნად მოიწონა ყველა კოლმეურნემ. მაგრამ აქ თვითდინებაზე იმედის დამყარება არასწორი და საზიანო იქნებოდა. დამზადება უნდა მოვაწყოთ, უნდა უზრუნველვყოთ, რათა თვითეულმა კოლმეურნეობამ პირველ რიგში გაუსწოროს ანგარიში სახელმწიფოს, გაანაღდოს სესხი და დაზღვიანება. მანამდე, სანამ მარცვლის დამზადების გეგმა შესრულებული არ იქნება, კოლმეურნეებს ავანსი მიეცემათ არაუმეტეს დამოშადებელ პუნქტში ფაქტიურად ჩაბარებული მარცვლის 15 პროცენტისა.

შემდეგ ამხ. შჩერბაკოვი გადადის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულების ცხოვრებაში გატარების კონტროლის საკითხზე. ჩვენი ქვეყნის მუშებმა და მოსამსახურეებმა მთლიანად მოიწონეს ეს ბრძანებულება, რომელიც მიმართულია ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი და სამეურნეო ძლიერების შემდგომი განმტკიცებისაკენ.

ამხ. შჩერბაკოვი აქტივის განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს გამცდენთა მფარველებთან ბრძოლაზე და მკაცრად აკრიტიკებს სასამართლოს და პროკურატურის ორგანოების მუშაობას.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაავალა პარტიულ ორგანიზაციებს უმოკლეს ვადაში მიაღწიონ შრომის დისციპლინის გადაჭრით განმტკიცებას საწარმოებსა და დაწესებულებებში, მიაღწიონ 8 საათის სამუშაო დღის სრულად გამოყენებას, შრომის ნაყოფიერების სერიოზულ ზრდასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. ყოველი კომუნისტი და კომკავშირელი შრომისადმი პატიოსანი, სოციალისტური დამოკიდებულების მაგალითი უნდა იყოს. ის კომუნისტები და კომკავშირელები, რომლებმაც სამუშაო გააცდინეს, ან რომელნიც თვითნებურად წავიდნენ საწარმოებიდან ან დაწესებულებებიდან, არათუ სამართალში უნდა იქნან მიცემულნი, არამედ გარიცხულნიც უნდა იქნან პარტიისა და კომკავშირის რიგებიდან, როგორც სახელმწიფო და პარტიულ დისციპლინის ბოროტი დამრღვევნი. გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო სამუშაო დროის განმავლობაში ყოველგვარი კრების, თათბირის, სხდომის მოწვევის პრაქტიკას—ასეთ პრაქტიკას მხოლოდ დეზორგანიზაცია შეაქვს საწარმოთა და დაწესებულებათა ნორმალურ მუშაობაში.

— ჩვენი ამოცანა, — ამთავრებს მოხსენებას ამხ. შჩერბაკოვი ტაშის გრიალში,—მოსკოველი ბოლშევიკების ამოცანა ამაში მდგომარეობს, რომ მთლიანად და სავსებით შევასრულოთ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი და ამ გადაწყვეტილებათა საფუძველზე მივაღწიოთ ახალ სამეურნეო და პოლიტიკურ აღმავლობას მთელს ჩვენს მუშაობაში.

ამხ. შჩერბაკოვის მოხსენების გამო გაიშალა კამათი.

ამხ. შჩერბაკოვის საბოლოო სიტყვის შემდეგ კრებამ ერთხმად, მჭუხარე ტაშით, მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მთლიანად და სავსებით იწონებს პლენუმის გადაწყვეტილებებს და ავალებს ყველა პარტიულ ორგანიზაციას ბოლშევიკურად იბრძოლოს მათი შესრულებისათვის.

(საკდესი).

ესტონეთის მთავრობის ღონისძიებანი

ტალინი, რუს მასწავლებელთათვის ეწყობა მოკლევადიანი საღამოს კურსები. კურსებზე წაკითხულ იქნება მოხსენებანი მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შესახებ, სსრ კავშირის კონსტიტუციის შესახებ, სოციალიზმის ქვეყანაში სასკოლო და ჟურნალისტურ-საგანმანათლებლო მშობის გაშლის შესახებ, სასწავლო პროგრამების, სახელმძღვანელოებისა და საბჭოთა სკოლის სტრუქტურის შესახებ. ესტონეთის რადიო კვირაში სამჯერ აწყობს ლექციების გადაცემას საკ. კ. პ. (ბ) ისტორიისა და რუსული ენის დარგში.

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. **გ. თ. ფომინი** გაათავისუფლა სამრეწველო ბანკის მმართველის მოადგილის მოვალეობისაგან.

○

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაამტკიცა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული სსრ კავშირის ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამსახურის მთავარი სამმართველოს კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე — მთავარი სამმართველოს უფროსი ამხ. **ე. კ. ფედოროვი,** ამხ. **ნ. ვ. ბელიაკოვი** (უფროსის პირველი მოადგილე), **ვ. დ. რუსაკოვი** (უფროსის მოადგილე), **ა. პ. ხუდიაკოვი** (უფროსის მოადგილე), **მ. ა. პროხოროვი, კ. ა. სკობცოვი, ვ. ფ. პუშკარევი, ნ. ვ. პუშკოვი** და **ვ. პ. ტკაჩენკო.**

○

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. **პ. ვ. კოკურკინი** დაამტკიცა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის წევრად. (საკდესი).

მიჭინგი ა. ი. მიქოიანის სახელობის თბილისის ხორცის კომბინატში

სასიხარულო ცნობა, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა თბილისის ხორცის კომბინატის კოლექტივის შუამდგომლობა კომბინატისათვის დიდი სტალინის თანამებრძოლის—ანასტას ივანეს-ძე მიქოიანის სახელის მიკუთვნების შესახებ, ელვის სისწრაფით მოედო ყველა საამქროს.

სასადილო შესვენებისას კომბინატის 450 მუშამ, მოსამსახურემ, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკმა თავი მოიყარა ბრძანებულებისადმი მიძღვნილ მიტინგზე.

ცნობით იმის შესახებ, რომ თბილისის ხორცის კომბინატს მიკუთვნებული აქვს ამხ. ა. ი. მიქოიანის სახელი, გამოვიდა საქართველოს სს რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის „საქხორცმრეწველობის“ უფროსი ამხ. სავიცკი.

სიტყვას ამბობს ხორცის კომბინატის სტახანოველი ამხ. ბილაშვილი, დაჯილდოებული ნიშნით „ხორცის მრეწველობის ფრიადოსანს“.

— საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების საპასუხოდ,—აცხადებს იგი, — ვალდებულებას ვკისრულობ გეგმები შევასრულო არა ნაკლებ 250 პროცენტისა. მთელი ჩვენი კომბინატი ღირსეულად ატარებს დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის ამხანაგ მიქოიანის სახელს.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე კომბინატის დირექტორი ამხ. დ. სანაძე და ჭარხკომის თავმჯდომარე ამხ. გ. ჯიქია.

ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში თბილისის ხორცის კომბინატი ვალდებულებას კისრულობს 25 დეკემბრისათვის შეასრულოს წლიური გეგმა, მიაღწიოს ხორცის პროდუქტებისა და ძეხვების ხარისხის 100 ბალიან შეფასებას, ყოველმხრივ გააძლიეროს თავდაცვითი ბუშაობა.

მიტინგის მონაწილეებმა ამხანაგ ა. ი. მიქოიანს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც სწერენ: „სიტყვას გაძლევთ, ძვირფასო ანასტას ივანეს-ძევ, ვიმუშაოთ უკეთესად, შევასრულოთ პარტიისა და ხელისუფლების ყველა დავალება, განვამტკიცოთ ჩვენი დიადი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობა და ამით გავამართლოთ მაღალი ნდობა პარტიისა და ხელისუფლებისა, რომლებმაც დააკმაყოფილეს ჩვენი თხოვნა კომბინატისათვის თქვენი სახელის მიკუთვნების შესახებ“. (საქდესი).

საბჭოთა პავილიონის წარმატება კენიგსბერგის ბაზრობაზე

ბერლინი, 13 აგვისტო (საკდესი). პირველ ორ დღეს კენიგსბერგის ბაზრობა 190.000 კაცმა დაათვალიერა. საბჭოთა კავშირის პავილიონი დამთვალიერებელთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს.

საკდესის კორესპონდენტთან საუბრის დროს ბაზრობის დირექტორმა, კონსულმა იონსმა განაცხადა, რომ „საბჭოთა პავილიონი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს საბჭოთა კავშირის სიმდიდრეზე. პავილიონს ხალისით ათვალიერებს გერმანიის საზოგადოება.

საბჭოთა ექსპონატები ერთხელ კიდევ მოწმობენ თუ რამდენად მდიდარია გერმანია-საბჭოთა კავშირის სამეურნეო ურთიერთობის ფართოდ განვითარების შესაძლებლობანი. საბჭოთა პავილიონმა გაამართლა თავისი მიზნები.

ორი დღის განმავლობაში ბაზრობა 190.000 კაცმა დაათვალიერა. საბჭოთა პავილიონში იყო ყველა დამთვალიერებლის 90 პროცენტი“.

საბჭოთა პავილიონის დამთვალიერებლები ხალისით სწერენ თავიანთ შთაბეჭდილებას მიმსვლელთა წიგნში.

აი ზოგიერთი ჩანაწერი:

„მე აღტაცებული ვარ ყოველივე იმით, რაც აქ ვნახე“.

„საბჭოთა გამოფენა ყველაზე საინტერესოა აქ წარმოდგენილ ყველა გამოფენათაგან“.

„გამოფენა პირდაპირ ზღაპრულია“.

„საუცხოო და საინტერესოა“. „გამოფენამ სრულ წარმატებას მიაღწია“.

„მკიდარი ქვეყანა გვიჩვენებს თავის კეთილდღეობას“.

„თქვენი გამოფენა სრულ წარმოდგენას აძლევს თვითეულ დამთვალიერებელს თქვენი ქვეყნის უდიდეს სიმდიდრეზე და უმაგალითო სამეურნეო აღმავლობაზე საქონლის წარმოებისა და მოხმარების დარგში“.

ასეთია კენიგსბერგის ბაზრობის საბჭოთა პავილიონის დამთვალიერებელთა აზრი.

საბჭოთა გამოფენა მისი მუშაობის პირველ დღეს დაათვალიერეს გერმანიის მეურნეობის მინისტრმა ფუნკმა და ფინანსთა მინისტრმა შვერინ-ფონ-კროზიგმა.

გერმანიის მეურნეობის მინისტრის ფუნკის სიტყვა

ბერლინი, 13 აგვისტო (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო კენიგსბერგიდან გადმოგვცემს, რომ აღმოსავლეთის მე-28 ბაზრობა გერმანიის სახალხო მეურნეობის მინისტრის ფუნკის სიტყვით გაიხსნა. გერმანიის ეკონომიური შესაძლებლობა, განაცხადა ფუნკმა, საშუალებას გვაძლევს შევინარჩუნოთ საკმაო საექსპორტო შესაძლებლობანი. დასავლეთში საზღვაო ვაჭრობის შეწყვეტისა და ომის გამო ევროპის ვაჭრობის ცენტრმა აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის გზებზე გადაინაცვლა. გერმანია-რუსეთის ვაჭრობის აქტივიზაცია თავის მხრივ წარმოადგენს იმპულსს აღმოსავლეთ ევროპის ეკონომიკისათვის. საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება—აი აღმოსავლეთის ბაზრობის დევიზი. სამხედრო ეკონომიურ საჭიროებათა შორის ეს მშვიდობიანი ვაჭრობა მოწმობს, რომ გერმანიას შეუძლია აქტიური ადგილი დაიკავოს მსოფლიო ვაჭრობაში. შემდეგ მინისტრმა დაახასიათა რა ინგლისის ეკონომიური მდგომარეობა, აღნიშნა სიძნელეების ზრდა მის საგარეო ვაჭრობაში, ვინაიდან ბევრი ნავსადგური აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მისთვის დახურულია, ხოლო სატრანსპორტო ხარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

გერმანიის გაზეთები გერმანია-საბჭოთა კავშირის სამეურნეო ურთიერთობის შესახებ

ბერლინი, 13 აგვისტო (საკდესი). გუშინ გერმანიის ყველა გაზეთმა სპეციალური სტატია მიუძღვნა კენიგსბერგის ბაზრობას, რომელიც უკვე გაიხსნა. გაზეთები ყურადღებას აქცევენ საბჭოთა კავშირის მონაწილეობას ბაზრობაში.

მთელმა რიგმა გაზეთებმა გამოუშვეს გერმანია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობისადმი მიძღვნილი დანართები. კერძოდ, გაზეთი „ბერლინერ ბერზენცაიტუნგის“ შემდეგ გაზეთმა „ვარშაუერ ცაიტუნგმა“ გამოუშვა დანართი, რომელშიც დაწვრილებით არის გაშუქებული სსრ კავშირის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა.

სპეციალურ დანართში მოთავსებულია დოქტორ შნურეს შესავალი სტატია. თავის სტატიაში „გერმანია-საბჭოთა კავშირის 11 თებერვლის შეთანხმება და მისი შემდგომი განვითარება“ დოქტორი შნურე დაწვრილებით იხილავს გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარების ისტორიას. საბჭოთა კავშირს, აღნიშნავს ავტორი, უდიდესი საექსპორტო და საიმპორტო შესაძლებლობანი აქვსო.

ავტორი აღნიშნავს, რომ სსრ კავშირსა და გერმანიას შორის საქონელბრუნვა აღმავალი ხაზით ვითარდება. ორივე მხარე ცდილობს ამ ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას. დასასრულ დოქტორი შნურე სწერს, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც საბჭოთა კავშირი ასე დიდი მასშტაბით იღებს მონაწილეობას კენიგსბერგის ბაზრობაშიო.

გაზეთ „ვარშაუერ ცაიტუნგის“ სპეციალურ დანართში მოთავსებულია აგრეთვე გერმანიის მეურნეობის რუსული კომიტეტის საქმეთა მმართველის მაიორ ჩუნკეს სტატია. თავის სტატიაში „გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა, მისი მომავალი ისტორია და განვითარება“ ავტორი დაწვრილებით განმარტავს ამ ურთიერთობის განვითარების ისტორიას და აღნიშნავს, გერმანიამ პირველმა იწყო ეკონომიური ურთიერთობის გაფართოება საბჭოთა რუსეთთან მსოფლიო ომის შემდეგო.

დასასრულ ავტორი სწერს, რომ გერმანიასა და სსრ კავშირს შორის სავაჭრო-სამრეწველო ურთიერთობა უახლოესი წლებისათვის უალრესად დადებითი იქნება.

გაზეთმა „ფელკიშერ ბეობახტერმა“ აგრეთვე მოათავსა კენიგსბერგის ბაზრობის გახსნისადმი მიძღვნილი ვრცელი სტატია.

სტატიაში აღნიშნულია, რომ ბაზრობაში მონაწილეობას იღებს საბჭოთა კავშირი და რომ მის გახსნას დაესწრო საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობის ხელმძღვანელი.

„ფელკიშერ ბეობახტერი“, მოჰყავს რა ციტატა მეურნეობის მინისტრის ფუნკის სიტყვიდან გერმანია-საბჭოთა კავშირის საქონელბრუნვის შესახებ, სწერს, გერმანია-საბჭოთა კავშირის საქონელბრუნვის გამოცოცხლების შედეგად აღმოსავლეთ - ევროპის მეურნეობა ძლიერ იმპულსს მიიღებსო.

კენიგსბერგის საბაზრო გამოფენის დევიზს, აცხადებს გაზეთი, წარმოადგენს ზრუნვა ამ ორ სახელმწიფოს შორის საქონელბრუნვის შემდგომი აყვავებისათვის.

უკანასკნელი ცნობები

ესპანეთის პროვინცია ინგლისისადმი

ნიუ-იორკი, 14 აგვისტო (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ცნობით, ესპანეთმა პროტესტი განუცხადა ინგლისს და მოითხოვა ინგლისის მიერ გატარებული ბლოკადის დაუყოვნებლივ შესუსტება.

ესპანეთის ელჩმა ალბამ, — სწერს გაზეთი, — ინახულა საგარეო საქმეთა მინისტრი ჰალიფაქსი და განუმარტა მას, რომ ესპანეთი ვერ შესძლებს თავის მეურნეობის აღდგენას, თუ მას შესაძლებლობა არ ექნება თავისუფლად შემოზიდოს მისთვის საჭირო საქონელი.

ჰალიფაქსი, აშკარად, დაეთანხმა ესპანეთის ელჩს და განუცხადა, რომ ესპანეთში სპეციალურად გაუზავნილია ინგლისის წარმომადგენელი, რომელიც ესპანეთის ხელისუფლებასთან ითანამშრომლებსო. ჰალიფაქსმა განაცხადა აგრეთვე: ინგლისს არ შეუძლია დაუშვას, რომ რაიმე საქონელი გზებზე ხელში ჩაუვარდესო.

დღემდე ინგლისის ოფიციალური პასუხი არ გაუგზავნია ესპანეთის პრეტენზიებზე.

საჰაერო ბრძოლა ინგლისში

ბერლინი, 14 აგვისტო (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ ინგლისის სამხრეთ სანაპიროსთან საჰაერო ბრძოლები გრძელდება. გერმანიის საბრძოლო თვითმფრინავებისა და მოპაიკრე ყუმბარმშენების ახალი შეიარაღებისაკენ. გერმანიის ყუმბარმშენების თითქმის ყველა ესკადრილიას, რომელიც დიდ სამიზნეზე მიფრინავს, „მესერშმიტის“ თვითმფრინავები იცავენ. ისინი, ფართო წრედ დაწყობილნი იგერიებენ ყოველგვარ დევნას მოწინააღმდეგის მხრივ და არღვევენ მისი დაცვის კედელს. ინგლისის ავიაგამანადგურებლებზე, განსაკუთრებით კი „სპიტფაიერის“ ტიპის თვითმფრინავებზე მყოფი მფრინავების უტებითი ძალა თვალსაჩინოდ შესუსტდა.

ბერლინი, 14 აგვისტო (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, რომ 13 აგვისტოს, ნაშუადღევს, ინგლისის სამხრეთ სანაპიროსთან ძვლავ გაჩაღდა ძლიერი საჰაერო ბრძოლა. დუვრთან და ლა-მანშის თავზე მომხდარ საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულ იქნა ინგლისის 27 თვითმფრინავი. გერმანიის ავიაციამ დაჰკარგა 8 თვითმფრინავი.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 14 აგვისტო (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტრო თავის კომუნიკეში იუწყება, რომ 12 აგვისტოს, ღამით, ინგლისის ყუმბარმშენები თავს დაესხნენ სამხედრო ობიექტებს ჩრდილო-ეთ-დასავლეთ გერმანიაში, მათ შორის—საავიაციო ქარხანის გოთაში, აგრეთვე სამხედრო ობიექტებს გერმანელთა მიერ დაკავებულ საფრანგეთისა და ჰოლანდიის ტერიტორიებზე. ყუმბარა დაგუნდეთ 17 აეროდრომს და ჰიდროთვითმფრინავების ბაზებს ბორკუმის კუნძულზე, აგრეთვე ხელდრის ნავსადგურს ჰოლანდიის სანაპიროზე. ამ თავდასხმების შემდეგ ინგლისის 4 თვითმფრინავი თავის ბაზებში არ დაბრუნებულა.

ყუმბარმშენებმა გუშინდელი თავდასხმების დროს სროლა აუტეხეს ობიექტებს იუტლანდიიდან ბისკაიის ყურემდე მდებარე ტერიტორიებზე, მათ შორის — გერმანიის მიერ დაკავებულ აეროდრომებს ვალჰაფენსა, კანსა, შერბურგსა და მარლში და ჰიდროთვითმფრინავების ბაზას ბრესტში. ინგლისის 12 თვითმფრინავი თავის ბაზებში არ დაბრუნებულა.

ვამოწმებთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების შესრულებას

როდესაც პარტორგანიზაციის კონტროლი სუსტია

მექანიკური საამქროს მრანდავი ა. პერეგუდოვი სამუშაოზე არ გამოცხადდა, ამწყობი საამქროს ზეინკალმა ი. ლობოვმა შესვენების შემდეგ თვითნებურად მიატოვა სამუშაო, მევახტე ხ. გოლოსკა შვებულებიდან 3 დღის დაგვიანებით დაბრუნდა და ასე დაუსრულებლად... ირღვევა შრომის დისციპლინა, დირექტორი სწერს ბრძანებებს, გამცდენთა საქმე იგზავნება სასამართლოში.

ეს ხდება თბილისში, კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში. აქ შრომის დისციპლინას ზოგჯერ კომუნისტებიც კი არღვევენ. პარტიის წევრობის კანდიდატმა საარაღო საამქროს ზეინკალმა ვ. ბულატკინმა 13 ივლისს სამუშაოზე 27 წუთი დაიგვიანა, მისი ოცოლი, კომკავშირელი ტ. ბულატკინა იმავე დღეს სამუშაოზე 35 წუთის დაგვიანებით გამოცხადდა. ასევე გაიცდინა სამუშაო დღე მექანიკური საამქროს მრანდავმა კომუნისტმა ივ. პერეგუდოვმა.

გაცდენები და დაგვიანებები ქარხანაში ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა. დღე არ გავა, რომ ოთხმა-ხუთმა მუშამ არ დაიგვიანოს, ან სამუშაო დღე არ გააცდინოს. 12 აგვისტოს, მაგალითად, დაიგვიანეს მუშებმა ზელნიცკიმ, ზალიგოვმა, მეტივიშვილმა და კალატოზიშვილმა.

რა მიზეზია, რომ ქარხანაში არ არის შრომის მტკიცე დისციპლინა, რომ ზოგიერთ ამხანაგში ჯერ კიდევ არ არის გამომუშავებული შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულება, რომ ჯერ კიდევ არიან გამცდენები, ზარმაცები, ცუღლუტები, ფრენიები, წარმოების დეზორგანიზატორები?

პასუხი მხოლოდ ერთია, ამის ძირითადი და მთავარი მიზეზი პირველ ყოვლისა ის არის, რომ ქარხნის პარტიული ორგანიზაცია არ ანხორციელებს, ან მეტად სუსტად ანხორციელებს კონტროლს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების ცხოვრებაში გატარებაზე.

დავიწყოთ იქიდან, რომ პარტორგანიზაციას ბრძანებულება არც კი განუხილავს პარტიულ კრებაზე და არ დაუსახავს კონკრეტული, საქმიანი პრაქტიკული ღონისძიებანი მისი მტკიცედ განხორციელებისათვის. აქ ასე ფიქრობენ: აღნიშნული ბრძანებულება განვიხილეთ მუშათა საქარხნო მიტინგზე, საამქროებში წაიკითხეს ავიტატორებმა, და ახლა ღირს სპეციალურად იგი პარტიულ კრებაზედაც განვიხილოთო?

ეს, რასაკვირველია, მცდარი შეხედულებაა. პარტორგანიზაცია ხედავს, რომ შრომის დისციპლინა ირღვევა, გაცდენა-დაგვიანებები არ ისპობა, შრომის ნაყოფიერება დაბალია, და კონკრეტულ ზომებს არ ღებულობს ყოველივე ამის წინააღმდეგ.

შეეძლო თუ არა პარტორგანიზაციას სპეციალური მსჯელობის გაგნად გაეხადა ბრძანებულების განხორციელების საკითხები, დაერაზმა ქარხნის კოლექტივი გამცდენთა წინააღმდეგ, აემხედრებინა საზოგადოებრივი აზრი წარმოების დეზორგანიზატორების წინააღმდეგ, მკაცრად გაეკიცხა და დაესაჯა ის კომუნისტები, რომლებიც არღვევენ შრომის დისციპლინას და არევ-დარევა შეაქვთ ქარხნის ნორმალურ მუშაობაში?

რა თქმა უნდა, პარტორგანიზაციას ეს შეეძლო და ასეც უნდა მოქცეულიყო, მაგრამ დღემდე ასეთი რამ სამწუხაროდ არ გაუკეთებია.

მეტს ვიტყვით. აქ საეჭვოდ გაუხდიათ საკითხი—პარტიულ კრებაზე იმსჯელონ თუ არა იმ კომუნისტის შესახებ, რომელმაც უხეშად დაარღვია შრომის დისციპლინა, გააცდინა სამუშაო დღე.

— ასეთები ჩვენ სასამართლოს გადავეცით, მათ მიესაჯათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულებით გათვალისწინებული და ამის შემდეგ მათი საკითხი კიდევ პარტიულ კრებაზე განვიხილოთ, ან დავსაჯოთ ისინი — ეს მეტისმეტი სიმკაცრე იქნებაო,—განაცხადა პარტბიუროს მდივანმა ამხ. ბერიაშვილმა.

სამწუხარო ის არის, რომ ამ საკითხზე საკმაო გარკვეულობა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის სახელობის რაიკომის ზოგიერთ ხელმძღვანელ ამხანაგსაც არ აქვთ. ისინიც იმ აზრს იზიარებენ, რომ კომუნისტს, რომელმაც შრომის დისციპლინა დაარღვია, სასამართლოს მიერ გამოტანილი სასჯელი ეყოფა.

ეს, მეტი რომ არ ვთქვათ, მეტად მავნე და გადაჭარბებული ლმობიერებაა. კომუნისტი, რომელიც წარმოების დეზორგანიზატორად ითვლება, მკაცრად უნდა დაისაჯოს.

ამის შემდეგ გასაკვირალი არ არის, რომ კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა, თუმცა ის თავისი მოწყობილობით ერთერთი პირველია მთელს საქართველოში, სახელმწიფო დავალებებს ვერ ასრულებს, ქვეყანას აკლებს მაღალხარისხოვან და ზუსტ დაზგადანადგარებს. ის ფაქტი, რომ ქარხანამ ნახევარი წლის გეგმა 70 პროცენტით შეასრულა, ხოლო ივლისისა—77 პროცენტით, პარტორგანიზაციის სუსტ მუშაობასაც მოწმობს.

ყოველდღიური, საქმიანი კონტროლი გავუწიოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 26 ივნისის ბრძანებულების ცხოვრებაში მტკიცედ გატარებას, რადგან ეს არის ამჟამად პარტიული, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების ერთერთი ყველაზე საპატიო და ძირითადი საქმე.

პ. ჯიოკაძე

ჭიათურის პეროქსიდის ქარხნის მშენებელთა დაჯილდოება

ჭიათურა, (საკდესი). სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისარის ამხ. თევოსიანის ბრძანებით დაჯილდოებული არიან ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის სიამაყის — პეროქსიდის ქარხნის მშენებლობის მოწინავე ადამიანები. მშენებლობის უფროსს, მთავარ ინჟინერს ნ. გომელაურს და სამონტაჟო სამუშაოების მეთაურს, უფროს მექანიკოსს ბ. კობახიძეს მიეცათ ნიშანი „შავი მეტალურგიის სოციალისტური შეჯიბრების ფრიადოსანს“. მათვე მიეცათ ძვირფასი პრემიები. პრემიები მიიღეს აგრეთვე ინჟინრებმა დ. კაპანაძემ და გ. შანიძემ. მშენებლობის 14 მონაწილეს გამოეცხადა მადლობა. ტრესტის მმართველის განკარგულებაში გადაირიცხა 20 ათასი მანეთი იმათ დასაჯილდოებლად, ვინც თავი გამოიჩინა მშენებლობაზე.

ქარხნის კოლექტივმა ჯილდოს საპასუხოდ განაცხადა, რომ სტახანოვური მოძრაობის 5-წლისთავს ახალი საწარმოო გამარჯვებით შეხვდება.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობა ინგლისის ბლოკადის წინააღმდეგ

ლონდონი, 13 აგვისტო (საკდესი). ინგლისის ბლოკადის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობამ ინგლისის მთავრობას ნოტა გაუგზავნა, რომელშიც ნათქვამია, რომ ინგლისის ბლოკადა ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებს და ხელშეკრულებებს, რომლებიც ინგლისის მიერ არის ხელმოწერილი.

ნოტაში ნათქვამია, რომ ინგლისის ბლოკადა ეწინააღმდეგება ინგლისის მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებებს, რომლებიც ეხება ნეიტრალური ქვეყნების ვაჭრობის უფლებას ომის დროს

პარტიული ცხოვრება

პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას სერიოზული ყურადღება

(სიღნაღი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

სოფ. ბოდბისხევის (სიღნაღის რაიონი) სტალინის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებულმა პირველადმა პარტორგანიზაციამ (მდივანი — ამხ. დ. ცაბუტაშვილი) პარტიაში ახალ წევრთა მიღების საქმეში კარგ შედეგებს მიაღწია. XVIII პარტყრილობის შემდეგ პარტორგანიზაციამ საანგარიშო-საარჩევნო კრებამდე პარტიის წევრად მიიღო 7 კანდიდატი, ხოლო პარტიის წევრობის კანდიდატად არც ერთი კაცი არ ჰყავდა მიღებული. საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, რომელიც მიმდინარე წლის 17 თებერვალს ჩატარდა, აღინიშნა ეს ნაკლოვანებანი და ახალ ხელმძღვანელობას მეთვალყურეობისათვის.

საანგარიშო-საარჩევნო პარტიული კრების გადაწყვეტილების საფუძველზე პარტორგანიზაციამ ბოლშევიკურად მოჰკიდა ხელი პარტიაში მოწინავე კოლმეურნეთა მიღების საქმეს, დღემდე პარტიის წევრებად მიიღო 6 კაცი, ხოლო წევრობის კანდიდატებად 7, მათ შორის სამი — ლენინური კომკავშირის წევრი.

პარტიაში მიღების დროს პარტორგანიზაციას არ დავიწყებია დიდი **სტალინის** მითითება, რომ: „...ინდივიდუალური შერჩევის წესით მივიღოთ პარტიის რიგებში მხოლოდ შემოწმებული და კომუნიზმის საქმისადმი ერთგული ამხანაგები“. მაგალითად, პარტიის წევრობის კანდიდატად მიღებულია გიო შიხაშვილი — ის 1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეა. გასულ წელს გამომუშავებული ჰქონდა 732 შრომადღე. მანანა ბოლოკაშვილი, როგორც საუკეთესო სტახანოველი კოლმეურნე, ბოდბისხევის მშრომელებმა ერთსულოვნად აირჩიეს სოფლსაბჭოს დეპუტატად. გარდა ამისა, მიღებულია ალექსი ქუთაშვილი, რომელიც კოლმეურნეობაში მოწინავე რგოლის ხელმძღვანელად ითვლება, მან გასულ წელს 639 შრომადღე გამოიმუშავა ხოლო 1940 წ. — 275.

მიუხედავად ამ მიღწევებისა, პარტორგანიზაციას რატომღაც დავიწყდა, რომ პარტიაში ახალ წევრთა მიღებით არ მთავრდება საქმე, რომ საჭიროა გავშალოთ მუშაობა ახალგაზრდა კომუნისტების ბოლშევიკურად აღზრდისათვის, რომ საჭიროა კანდიდატთა გამოწრთობა პრაქტიკულ სამუშაოზე. პარტორგანიზაცია ახლად მიღებულებს არ აძლევს დავალებებს, ხოლო ვისაც აძლევს დავალებას, არ ეხმარება და არ ამოწმებს შესრულებას. ამხ. ლ. ტუხაშვილს, რომელიც გასული წლის 30 მაისს არის მიღებული პარტიის წევრობის კანდიდატად, დღემდე არა აქვს პარტიული დავალება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ორგანიზაციაში კომუნისტების უმრავლესობა მოწყვეტილნი არიან პოლიტიკური ცოდნის დაუფლების საქმეს, რადგან თავისთავზე ინდივიდუალურად თითქმის არავინ მეცადინეობს, ხოლო აქ არსებული „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შემსწავლელი წრე (კადრების ძირეული რგოლის) 2 თვეზე მეტია არ მუშაობს პროპაგანდისტის წითელ არმიაში წასვლის გამო. რაიკომს დღემდე არ შეურჩევია წრის ახალი ხელმძღვანელი ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ პარტიის წევრობის კანდიდატებმა ზურაბ ტუხაშვილმა, იოსებ პავლიაშვილმა, სოსო ტუხაშვილმა და სხვ., რომელთაც საკანდიდატო სტაჟი შეუსრულდათ, პარტიის წესდებაც კი არ იციან.

ამავე სოფლის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერთან“ არსებული პარტორგანიზაცია გასული წლის იანვარში ჩამოყალიბდა პარტიის 3 წევრის შემადგენლობით. აქ პარტიის რიგების ზრდის ყოველგვარი შესაძლებლობა არსებობდა, კოლმეურნეობაში ორიან მოწინავე ადამიანები, მაგრამ პარტორგანიზაციის მდივნის ამხ. ალ. ფათალიშვილის მოუქნელი მუშაობის შედეგად პარტიაში ახალ წევრთა მიღება სუსტად არის დაყენებული. სრულიად უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან პარტიული დოკუმენტების, კერძოდ რეკომენდაციის, გაფორმებას და პარტიაში მისაღები პირებისადმი ინდივიდუალურად მიდგომის საქმეს.

ამავე სოფლის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე გიო ნონიაშვილი მიღებულია პარტიის წევრობის კანდიდატად გასული წლის 27 დეკემბერს, ამხ. ვ. ბალიაშვილი (კომკავშირელი) და კოლმეურნე იოსებ მილაშვილი — იმავე წლის 19 აგვისტოს; მათი საქმეები პარტკომკომმა უკანვე დააბრუნა პირველადს პარტორგანიზაციაში, დოკუმენტების არასწორად გაფორმების გამო და პარტორგანიზაციის მდივანს მითითება მისცა ამ საქმეში, მაგრამ დღემდე ეს საქმეები ხელუხლებელი აწყვია პარტიულ ორგანიზაციაში.

გ. ბალიაშვილი პარტკანდიდატად მიღებულ იქნა 1939 წლის აგვისტოში, ხოლო იმავე წლის დეკემბერში ვიდრე რაიკომის ბიურო მიღების საკითხს განიხილავდა, იგი არიცხულ იქნა შრომის დისციპლინის დარღვევისა და ხულიგნობისათვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ პარტიის წევრები ამ ორგანიზაციაში „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს“ არ სწავლობენ. თვითონ პარტორგანიზაციის მდივანი ამ საქმეში ცუდ მაგალითს იძლევა. იგი „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ I თავს არ გასცილებია.

ზემოხსენებული მდგომარეობიდან პარტორგანიზაციის მდივნებმა სათანადო დასკვნები უნდა გააკეთონ. საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომმა უფრო მეტი დახმარება უნდა გაუწიოს ამ ორგანიზაციებს აღნიშნულ ნაკლოვანებათა ბოლშევიკურად გამოსწორებისათვის.

ი. გალიაშვილი

მზადება კომკავშირული ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნებისათვის

ბათუმი, (საქდესი). მასწავლებლის სახლში შესდგა თათბირი, რომელსაც დაესწრო ბათუმის საწარმოების და დაწესებულებების პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების კომიტეტების 200-მდე მდივანი. საინსტრუქციო მოხსენებით იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია კომკავშირული ხელმძღვანელი ორგანოების მომავალ არჩევნებთან, გამოვიდა კომკავშირის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. მ. კალანდაძე. თათბირმა იქონია მსჯელობა აგრეთვე მზადებაზე ახალგაზრდობის XXV საერთაშორისო დღისათვის.

რეკომენდაციის მიმცემნი პასუხისმგებელნი არიან

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მოცემული გვაქვს გარკვეული მითითება იმის შესახებ, რომ ბოლშევიკების პარტიის რიგებში უნდა მივიღოთ მხოლოდ და მხოლოდ ლენინ-სტალინის პარტიის სიდამე თავდადებული ადამიანები, ჩვენი დიადი ქვეყნის მგზნებარე პატრიოტები, მაგრამ ეს ზოგიერთებს ჯერ კიდევ კარგად ვერ შეუთვისებიათ.

პარტიის ზოგიერთი წევრი ხელგაშლილად აძლევს რეკომენდაციას, არ ფიქრობს იმაზე, თუ რამდენად ღირსია მის მიერ რეკომენდებული პიროვნება ატაროს კომუნისტის სახელწოდება. ცალკეული ამხანაგები ხელაღებით აძლევენ ათობით რეკომენდაციას შეუმოწმებელ ადამიანებს, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო ბოლშევიკურ პარტიასთან.

არტელ „ინეკონომიის“ თავმჯდომარის მოადგილე ნ. ცინცაძე ყოფაცხოვრებითი გახრწნილობისათვის 1933 წელს გარიცხული იყო პარტიიდან; ისარგებლა რა ეკატერინე ურუშაძის (არტელ „ინეკონომიის“ პარტორგანიზაციის მდივანი) ახლო დამოკიდებულებით, მან მოისურვა ისევ პარტიაში შესვლა. რათქმა უნდა, მისმა მეგობრებმა ამხ. ე. ურუშაძემ, ს. მაღურაძემ და კ. ბოკერიამ, რომლებმაც ცინცაძის წარსული და აწმყო მშვენივრად იცოდნენ, მისცეს მას რეკომენდაცია პარტიაში შესასვლელად. ეს უდარდელი რეკომენდატორები არც კი დაფიქრებულან მათ მიერ რეკომენდებულ ადამიანზე, თუ რამდენად ღირსი იყო იგი პარტიის წევრობის კანდიდატობის საპატიო სახელის ტარებისა. 1940 წ. 16 ივლისს კიროვის რაიკომის ბიურომ განიხილა ცინცაძის განცხადება და უარი უთხრა მას პარტიაში მიღებაზე დებოშისა და ლოთობისათვის.

„რეკომენდაციის მიმცემნი პასუხისმგებელი არიან თავიანთი რეკომენდაციების კეთილსინდისიერობისათვის“ — ნათქვამია საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში, მაგრამ პირველადს პარტორგანიზაციას არ მოუთხოვნია პასუხი იმ პირთათვის, რომლებიც ხელაღებით აძლევენ რეკომენდაციებს პარტიაში შესასვლელად.

ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელიც არ ჩანს გულისხმიერებას პარტიაში მიღების საქმისადმი, უხეშად ამხანჯგებს პარტიის წესდების მოთხოვნებს. მაგალითად, არტელ „ინსაწყობის“ პარტორგანიზაციამ (მდივანი ამხ. ბესტაშვილი) პარტიაში კომკავშირის რაიკომის რეკომენდაციის გარეშე მიიღო ამავე არტელის თავმჯდომარის მოადგილე, კომკავშირის წევრი ამხ. გ. გოგებდაშვილი.

რეკომენდაცია — ეს არის პარტიული დოკუმენტი, რომელიც რეკომენდატორის მიერ უნდა იყოს დაწერილი სწორად და გარკვევით. მაგრამ ხშირად ვხვდებით არასწორად შედგენილ რეკომენდაციებს.

ამხ. ნ. ნიკოგოსოვი (კიროვის რაიონი) აძლევს რეკომენდაციას ი. თუმანოვს, ის სწერს: „ვიცნობ ამხ. თუმანოვს 1921 წ. ერთად ვმუშაობდით მილიციაში 1937 წლიდან, ამ ხნის განმავლობაში ამხ. თუმანოვი არ ყოფილა შემჩნეული არავითარ საქმეში“. მოვიყვანოთ მეორე ფაქტი: ამხ. ა. ენუქიძე აძლევს შ. დავითაშვილს შემდეგი შინაარსის რეკომენდაციას: „ამხ. შუშ. დავითაშვილი არის აქტიური ამხ. არის ჩაბმული სხვადასხვა დაკისრებულ მოვალეობას ასრულებს პირნათლად. ყოფილა შემთხვევა, რომ დაგვიკისრებია მისთვის ისეთი სამუშაო, რომელიც მის ფუნქციებში არ შედიოდა მიუხედავად ამისა ეს ამხანაგი ასრულებდა ყოყმანოთ (საქმის ინტერესების გამო) სამსახურის მოვალეობას ასრულებს პირნათლად“... ასეთ გაუგებარ, უშინაარსო რეკომენდაციას აძლევს არა მცირემცოდნე ამხანაგი, არამედ საქ. სამეცნიერო აკადემიის საქ. ფილიალის გეოფიზიკური ინსტიტუტის მუშაკი.

საჭიროა ბოლო მოეღოს ასეთ უდარდელ დამოკიდებულებას რეკომენდაციის მიცემის საქმისადმი.

ელ. ჩიტიშვილი

პარტორგანიზაციამ უნდა გააუმჯობესოს ხელმძღვანელობა

(გორი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

გორის რაიონის ზოგიერთი სკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაცია ხშირად გვერდს უვლის საკოლმეურნეო ცხოვრების მტკივნეულ საკითხებს. ამ შემთხვევაში ჩვენ ვლაპარაკობთ ქვემო ახალსოფლის საკოლმეურნეო პირველად პარტორგანიზაციაზე, რომელსაც მუშაობაში მთელი რიგი შეცდომები აქვს.

მას შემდეგ, რაც მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები ჩატარდა, აგიტატორებმა მუშაობა შესწყვიტეს, კოლმეურნეებს ალარ ესაუბრებიან საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვებებზე. უმნიშვნელოვანესი ახალი ამბები ახალსოფლელ კოლმეურნეებთან არ მიაქვთ ბრიგადებში აგიტატორებად გამოყოფილ ამხანაგებს მ. ყაზიშვილს, ი. წკრიალაშვილს და შ. კუთარაშვილს. საანგარიშო-საარჩევნო კრების შემდეგ პოლიტიკური აგიტაციის გაუმჯობესების საკითხებზე პარტორგანიზაციას არ უმსჯელია.

ქვემო ახალსოფლის პირველად პარტორგანიზაციაში 6 კომუნისტი რიცხება. ამხანაგები ი. წკრიალაშვილი, ა. ალავერდაშვილი, პ. წკრიალაშვილი და გ. წეწვაძე (პარტორგანიზაციის მდივანია) საწესებო მოვალეობას არ ასრულებენ იმ მხრივ, რომ პარტისტორიას არ სწავლობენ. როგორც პარტორგანიზაციის მდივანი წეწვაძე აცხადებს, ყველანი მცირემცოდნენი არიან. მაგრამ ეს საქმეს არ შველის, მცირემცოდნე კომუნისტები მოვალენი არიან დასძლიონ თავიანთი უცოდინარობა; საამისო პირობები მათ გააჩნიათ. პარტორგანიზაციას კი დღემდე არ განუხილავს პროპაგანდისტული მუშაობის საკითხი.

ქვემო ახალსოფლის კოლმეურნეობაში ყველა კოლმეურნე როდი მონაწილეობს საკოლმეურნეო შრომაში; დაბალია შრომის დისციპლინა. ავიღოთ № 3 ბრიგადა (ბრიგადირი გ. გერმანოზაშვილი). აქ მოსავლის აღებაზე ყოველდღიურად მუშაობდა 24 კაცი 33-ის ნაცვლად. ბრიგადაში გამოყენებული არ არის ქალთა შრომა, ვერ მოაწყეს დანამკრეხებთან ბრძოლა.

კიდევ ერთი ფაქტი. საკოლმეურნეო ბრიგადირების ცოლები გალინა ჯგარეიშვილი, თამარ გერმანოზაშვილი და გუნია მარადელი სრულიად უმიზეზოდ თავს არიდებენ საკოლმეურნეო შრომას.

ქვემო ახალსოფლის კოლმეურნეობაში მოსავლის აღება გაჭიანურდა. დარღვეულია პურის ლეწვის ვადები. მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობაში შრომის დისციპლინის მოწესრიგების, გამომუშავებული შრომადღეების სწორი აღრიცხვის, მოსავლის აღებისა და მისი ლეწვის მიმდინარეობის საკითხები პარტორგანიზაციის მსჯელობის საგნად არ გამხდარა.

ს. ყურაშვილი

ლ. პ. ბერიას სახ. რკინიგზის ნავთლუღის სადგურის ბიბლიოთეკის გამგე გ. ჩადუნელი (მარჯვნივ) ლიტერატურას აძლევს რკინიგზელებს რ. ალაჯანს და პ. ზიარკოვსკის.

ფოტო გ. ჩერკასოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

სწავლა დაიწყება 2 სექტემბერს

(საქ. განათლების სახალხო კომისარიატის განმარტება)

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი სკოლების ხელმძღვანელთა და რაიონების განათლების განყოფილებათა საყურადღებოდ იძლევა შემდეგ განმარტებას:

ვინაიდან წელს 1 სექტემბერს კვირაა, მეცადინეობა სკოლებში დაიწყება 2 სექტემბერს.

20 აგვისტოდან 24 აგვისტომდე შედგენილ უნდა იქნას სკოლების სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის გეგმები, გაკვეთილების ცხრილი და შინაგანაწესი.

30 დღეებში იმ მოსწავლეებთან, რომლებმაც გამოცდები უნდა ჩააბარონ, სკოლებში უნდა მოეწყოს კონსულტაციები, ლიტერატურის შერჩევა-მიწოდება, დავალებათა მიცემა და ამ დავალებათა შესრულების შემოწმება.

მასწავლებელთა რაიონული თათბირები უნდა ჩატარდეს 26 აგვისტოდან 28 აგვისტომდე. 29 აგვისტოდან 31 აგვისტომდე უნდა დამთავრდეს საშემოდგომო გამოცდები.

9 ჯონა ნავთი ღვე-ღამეში

სუფსა, (საქდესი). სუფსის ნავთის სარეწაოს კოლექტივი, ახორციელებს რა სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატის დირექტივას, განაგრძობს ცდებს ნავთის მისაღებად მცირე სიღრმეებიდან. ეს ცდები საუკეთესო შედეგებს იძლევა.

8 აგვისტოს № 3 ჭაბურღილში ჩაშვებული მილი გახვრეტილ იქნა 169-148 მეტრ სიღრმეზე. მაშინვე დაიწყო ნავთის დენა დიდი რაოდენობით. პირველი ორი დღის განმავლობაში მიღებულია 11 ტონა ნავთი, შემდეგ დღეებში კი სადღეღამისო დებიტი 9 ტონაზე შეჩერდა.

ჭაბურღილი № 3 პირველი ჭაბურღილია სუფსაში, რომელმაც ჯერ კიდევ ამ 2 წლის წინათ მოგვცა სამრეწველო ნავთი. 1938 წელს იგი გათხრილი იყო 312 მეტრ სიღრმეზე. ნავთის მიღების ცდები სწარმოებდა 285-184 მეტრ სიღრმეზე და ჭაბურღილი დღეღამეში იძლეოდა 1 ტონაზე ცოტა მეტ ნავთს.

მცირე სიღრმეზე ნავთის მნიშვნელოვანი რაოდენობის მიღება № 3 ჭაბურღილიდან, შემდეგ კი № 22 ჭაბურღილიდან ნავთის სარეწების წინაშე დიდ შესაძლებლობას სხვას.

ამჟამად სუფსაში ემზადებიან იმისათვის, რომ მცირე სიღრმეზე ნავთის მიღების ცდები ჩაატარონ 5 ჭაბურღილში — №№ 25, 26, 27, 28, 39. ეს ჭაბურღილები № 3 ჭაბურღილის მეზობლად მდებარეობენ.

ჩვენ გვწერენ

უპასუხისმგებლობის შედეგად

ჟინვალის (დუშეთის რაიონი) სასოფლო საბჭოს სამკითხველოს გამგე ს. სისველაშვილი უპასუხისმგებლოდ ეკიდება თავის მოვალეობას. მას სამკითხველოსათვის აპრილსა, მაისსა და ივნისში არცერთი გაზეთი არ გამოუწერია. რაც არის გამოწერილი, მისი გამოყენებაც ძნელია, რადგან აკინძულია და დაკეტილ კარადაშია შენახული. ამის ნაცვლად, რომ სისველაშვილმა საქმისათვის იზრუნოს, ის ხშირად კერძო ლაპარაკით არის გართული. სამკითხველოსათვის ჟინვალის საბჭოს მიერ გაღებული თანხები სისველაშვილის დაუდევრობით აუთვისებელი რჩება.

რ. ზანდუკელი.

უსინდისო დამოკიდებულება გამომგონებლობისადმი

ამიერ-კავკასიის ბერიის სახელობის რკინიგზის წითელი ჯვრის სამრეცხაო-სასტერილიზაციო ლაბორატორიის დირექტორმა ამხ. ჩახუნაშვილმა 1938 წელს გამოიგონა მექანიზებული „სახაერო ამწვავი საშრობი“, რომელმაც იმავე წელს ლაბორატორიის დაუზოგა 35.000 მანეთი.

1939 წელს ლაბორატორია შეუერთდა თბილისის კომუნალური მეურნეობის სამრეცხაო-სასტერილიზაციო ტრესტს, სადაც ამხ. ჩახუნაშვილმა გამოიყენა თავისი გამოგონება და იმავე წელს 13.000 მანეთის მომჭირნეობა მოგვცა. ტრესტის მმართველი ამხ. არზუმანოვი ყურადღებას არ აქცევს ამხ. ჩახუნაშვილს და კუთვნილ ჯილდოს არ აძლევს. ნუ თუ გამომგონებელი არ არის ყურადღების ღირსი?

გ. გურგენიძე.

ორი წელია ჭიანურდება

სუფსაში კარგი წყლის გამოსაყვანად სასოფლო საბჭო ჯერ კიდევ 1938 წლიდან შეუდგა მზადებას. ხიდმამალას და ტაბანათის კოლმეურნეები აღფრთოვანებით ელოდნენ კარგი სასმელი წყლის გამოყვანას. მაშინვე შეჰკრიბეს საჭირო თანხა და სოფ. ორმეთში დაიწყეს წყლის აუზის, მწინებლობა, მაგრამ საქმე ბოლომდე არ მიიყვანეს, 2 წელია მიატოვეს მუშაობა და სუფსის მშრომელთა იმედი არ გამართლდა.

სუფსა-ომფარეთის ნავთის სარეწაოს მუშა-მოსამსახურეებისა და სუფსის სახ. ჯოში შემადგ სოფლებში სასმელი წყლით მცხოვრებთა უზრუნველყოფა გადაუდებელი ამოცანაა, რომლის გადაწყვეტა ახლა საქართველოს წყალთა სამმართველოსა და ლანჩხუთის რაიონული საბჭოს აღმასკომზეა დამოკიდებული.

ვ. მეძვაბიშვილი.

გვაჩვენეთ კინო-სურათები

ზესტაფონის რაიონის სოფ. შროშაში ორი წელია რაც მცხოვრებლებს კინო არ უნახავთ. სოფლად კულტურული გასართობი არ არის. ამას არც რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციები აქცევენ ყურადღებას. სოფლის მოსახლეობისათვის ამ უჭირესად მნიშვნელოვანი საქმის მოგვარება რაიონის ხელმძღვანელობამ თვითდინებას მიანდო. ამიტომაც არის, რომ მწირმელი მოსახლეობა სამართლიან უკმაყოფილებას გამოსთქვამს.

ზესტაფონის რაიონის კინო-ბაზამ უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის კინოთი მომსახურება.

დ. თაბაგარი.

სახლი სწრაფად უნდა შეკეთდეს

გოგოლის ქუჩაზე № 48 სახლი, სადაც ტისაგან დაავადდა რამდენიმე მცხოვრები.

80-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობს, დაზიანებულია და სასწრაფო შეკეთებას მოითხოვს. სახლი ძველის-ძველია, გაფუჭებული აქვს წვიმისწყლის სადინარი მილები და წვიმის დროს მოსული წყალი კედლებს ესხმება. სწორედ ამ მიზეზით ჩამოინგრა გორდეზიანის, გრიქულოვის, მაჭავარიანის და სხვა მცხოვრებთა საცხოვრებელი ოთახების ჭერი. აგრეთვე სინესტისაგან ავად გახდა სახლის კომენდანტი სეხნიაშვილი დაუშვებელ გულგრილობას იჩენს ამ სახლის შეკეთებისადმი და გულდამშვიდებით უცქერის ჩამონგრეულ ჭერს.

იქნებ სტალინის რაისაბჭომ მაინც მიაქციოს ყურადღება გოგოლის ქუჩაზე მდებარე № 48 სახლს.

ს. ახალაძე.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

ქუჩები კეთილმოწყობილია

სოფლკორი ამხ. გრ. თადუმაძე გვწერდა, რომ ნაკლები ყურადღება ექცევა ქალაქ სამტრედიის ქუჩებისა და ბაზრის კეთილმოწყობას.

წერილი ზომების მისაღებად გაეგზავნა საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომს, საიდანაც გვატყობინებენ, რომ ქალაქის კეთილმოწყობისათვის გაწეულ იქნა მნიშვნელოვანი მუშაობა; მოხრეშილ და კეთილმოწყობილ იქნა სამტრედიის ქუჩები 3.260 მეტრზე, გაიპრა ქუჩების პარალელური არხები 6.000 მეტრზე.

სამტრედიის საკოლმეურნეო ბაზრის ნაწილობრივ კეთილმოწყობას აწარმოებს თვით საბაზრო კომიტეტი, ხოლო მთლიანი კეთილმოწყობისათვის შედგენილია ხარჯთაღრიცხვა 30.000 მანეთის ოდენობით და ზემდგომი ორგანოების დასტურისთანავე შეუდგებიან ბაზრის წესრიგში მოყვანას.

გიორგი ლეონიძე

დავით გურამიშვილი*

გურამიშვილის პატრიოტული რკალიდან ყველაზე შესანიშნავია ეპოპეა „ქართლის ჭირი“, რომელიც იმავე დროს დიდებულ ისტორიულ და პოლიტიკურ დოკუმენტს წარმოადგენს. ამ ეპოპეაში გურამიშვილი მოსჩანს, როგორც დიდი მორალური ძალის ფიგურა, როგორც მამხილებელი თანამედროვე ქართული საზოგადოებისა, რომელმაც სამშობლო ასეთ განწირულებამდის მიიყვანა.

„ვინც რომ ისე უკუღმართად
მრუდად ხნას და თესოს, ფარცხოს,
ის მე პურსა ნუღარ მაჭმევს,
რაც იმ ფქვილით გამოაცხოს.
ვინც ძმის სისხლი გამოიცხოს
ან თვით ძმასა გამოაცხოს,
მისი სული სატანამა,
თუ არ კუპრში, რაში გარცხოს?
მე კი ვფარავ, მაგრამ ჩემი
სატკივარი არა ჰფარავს!
მეტად მწარედ გული მტკივა,
მაჟრუოლებს და ტანში მზარავს,
ვერ მოვითმენ რომ არ დავგმო
ალმა მხვნელსა, დალმა მბარავს...
მართალს ვიტყვი, შევიქნები
ტყუილისა მოამბე რად?
ვერას უქნებ საქებელთა
უფერულთა პირსაფარად,
მე თუ გინდა თვიც მომჭრან,
ტანი გაზდეს გასაბერად,
ვინც არა ჰგავს კახაბერსა,
მე ვერ ვიტყვი კახაბერად!
აწ რომ ავი არ ვაქაგო,
კარგი, როგორ უნდა ვაქო?
ავს თუ ავი არ უწოდო,
კარგს სახელად რა დავარქო?

უსინათლო და მოხუცი პოეტი ამხელს დაცემულ საზოგადოებას ბიბლიური წინასწარმეტყველებით:

„თემცა ბრმა ვარ, კიდევ ვხედავ
ქვეყნად, ჩემგან უფრო ბრმათა!“

იგი იმავე დროს, როგორც წინამძღვარი ერის ორგანიზმის გამოჯანსაღებისათვის და მკითხველს მოუწოდებს პრაქტიკული მორალისკენ:

„მას დავნატრი, ვინცა სწორედ
სვლად საუთოროს გზას გაჰკვალავს“-ო.

აქედან გამომდინარეობს მისი დიდაქტიკა, მისი რელიგიურობა, რომელიც პატრიოტიკაში გადადის. დღეს მის პედაგოგიურ სენტენციებს და აფორიზმებს მხოლოდ ღა ლიტერატურული, ისტორიული მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ თავისი დროისათვის ნაწილობრივად მის რეზონერულ ლირიკას, თვით მის დრამატიზმით თანაგრძნობას ასკეტიზმისადმი, მკითხველისათვის უფრო საყოფაცხოვრებო პრაქტიკული მორალის მნიშვნელობა ჰქონდა. ამ მხრივ მისი პოეზია უსათუოდ გამომსახველია ეპოქის მბრძანებელი იდეოლოგიისა. აქედან არის წარმოშობილი მისი რელიგიური ექსტაზიც, რომელიც უფრო გასაგები იქნება ჩვენთვის, თუ გავიხსენებთ, რომ გურამიშვილის ის ნაწარმოებანი, რომელიც რელიგიური ელემენტებია მოჭარბებული, ღრმა სიბერეში იწერებოდა.

სამშობლოს მდგომარეობითვე არის გამოწვეული გურამიშვილის ღრმა პესიმიზმი, რომლის წარმოშობის მიზეზს ერთვის საუთოროს შინაგანი წინააღმდეგობა:

თუ ხარ ღვიძალი, რაღა არს ძილი?
თუ ხარ სიმაძღრე, რა არს შიმშილი?
თუ ხარ სიცოცხლე, რა არს სიკვდილი?

რასაკვირველია, პოეტის პირადი ბიოგრაფიაც თამაშობს თავის როლს და გასაგებია პოეტის მწარე გამომძახილი: „ფუ, შენ ცრუო საწუთროო, ხარ არაფერი!

ამად ვსწუნობ საწუთროსა,
სულ ბნელია, რასაც ელავს!

მისი დიდი სევდა ხშირად ირონიაში გადადის, მისი ვრძნობა სევდიდან—დაცინვამდე. მაგრამ თვით პოეტი ორმაგობას განიცდის და შემთხვევითი როდია, რომ მას მხოლოდ ერთად-ერთი ფილოსოფოსი ჰყავს მოხსენებული თავის წიგნში — ეპიკური. პოეტი ვერ სთმობს საწუთროს მშვენიერებას, მისი გული სავსეა ბუნებისა და სიცოცხლის სიყვარულით. თვით რელიგიურ - ასკეტალურ ჰიმნებში ის სიცოცხლის მზეს მოუწოდებს:

მზეე, სიშორით შენითა
ესტერ, გულზე კვნესით, ჭმენითა!...
მზეთა-მზეე, მზემან მომნახოს,
მითხრას შვილობა, სალამი!
განთიადისა ვარსკვლავო,
მის მზეთა მზისა მთიებო,
ვიკარგე ბნელის ღამითა
დღევ, რად არ მოშიძებხ?
შენ გევედრები ცისკარო,
საიდუმლოსა დღისაო,
ნათელო შარავანდედო,
საცნაურისა მზისაო

გურამიშვილი ბოლომდის სიცოცხლის მომღერალი დარჩა. ეკლესიური დიდაქტიკოსი იმავე დროს წარმართულ მგზნებარე გულს ატარებდა. მას უყვარდა ადამიანი, და ეს გასაგები იქნება, თუ კარგად ჩაუკვირდებით მის ბიოგრაფიულ ლირიკას, სადაც ამდენი ცხოვრების ტანჯვასა და სიტკბოებაზეა ლაპარაკი, სადაც ამდენი ცრემლია დაღვრილი გინდაც მიტომ, რომ საწუთროს მას ძე არ მისცა და რომ იგი „თესლ-ტომთათურთ წარწყმედა, ძირით, ჭოქით ამოაგდო“, სადაც ლაპარაკია ოცნებაში წარმომდგარ სამშობლოზე და მის ბუნებაზე. თვით „ქაცვია მწყემსი“, რომელიც მიღებულია ასკეტიზმისაკენ მოწოდებად — იმავე დროს მიწიური სიხარულის მატარებელია, იგი ხორცის და სიყვარულის ჰიმნია.

სწორია პოეტის განცხადება, რომ იგი „განშორდა საღმრთოს ბაღნართა“, რომ მან დასთმო ამ ბაღნარის ბულბულთა ოსანა“. აქ ბაღნარად ეკლესია იგულისხმება და მისი იდეოლოგია. გურამიშვილი უპირველესად საერო პოეტია, მიუხედავად ზოგიერთი რელიგიური ჰიმნისა და მასთან დიდი რეალისტი. მრავალტანჯულმა ცხოვრებამ მას ბევრი გამოცდილება მისცა, გაუფართოვა მსოფლმხედველობა და ცხოვრებას დაუახლოვა.

O

სიცოცხლის სიხარულის მომასწავებელია მისი ლექსის დიდი რიტმიული ძალა, მისი მუსიკალური ამღერება. რუსთველის შემდეგ გურამიშვილამდე ქართულმა პოეზიამ არ იცოდა მისებრ მომღერალი:

„მე ლექსად სიტყვებს ამოდ ვაწყობდი, უფრო **ტკბილად** მჩნდა“-ო, ამით გურამიშვილი ხაზს უსვამს თავის ლირიკის მუსიკალურ ხასიათს. მეორეგან ის ამბობს: ჩემს წიგნს „ვზრდი მომღერლადო“ და განა შემთხვევით უწოდა თავისი ლექსების კრებულს „დავითის საგალობელი“?, გურამიშვილის პოეზიის ბაზა უმთავრესად მუსიკაა, მას ვერლენივით სწამდა, რომ „ლექსი უპირველესად მუსიკაა“.

გურამიშვილის პოეზია ხალხური სულის პოეტური ანარეკლია. გურამიშვილმა ხალხური, ცოცხალი სიტყვა აღიარა ლიტერატურის საფუძვლად. მან პირველმა გამოიყენა ფორმა ხალხური სიმღერებისა და ხალხური სიმღერის ჟანრი ასწია პოეტურ სიმაღლემდე. მისი ლექსების უმრავლესობა შეწყობილია ქართულ-რუსულ - უკრაინულ ხალხურ მოტივებზე: „ახა წმინდა კოპალეს“ სანაცლოდ სათქმელი“; „ეეო, მეეო, ქალო ქალთა-მზეო“-ს სანაცლოდ სათქმელი“; „სიმღერა ქართლ-კახეთის ჯგარობის სანაცლოდ სათქმელი“, „სიმღერა ფერხისული „აგერ მიღმარ ახოს“ სანაცლოდ სათქმელი“; „პატარა ქალო თინაო“-ს სანაცლოდ სათქმელი“; „რუსული სიმღერის, „ნე დამ პოკოიე, პოიდუ სთობოიუ“, „ჩემო ზა პრიჩინა, ვსეღდა კრუჩინა“, „პოლშის სიმღერის ხმა“, და სხვა. თვით გურამიშვილის კაპიტალური პოეტური ნაწარმოები — პოემა „მხიარული ზაფხული“ („ქაცვია მწყემსი“, მკითხველმა უწოდა) პოეტს დაუწერია უკრაინული სიმღერის „ვესელა ვესნა“-ს ხმაზე.

გურამიშვილის ლექსის მუსიკალობასთან ერთად, აღსანიშნავია მისი პოეტური ენის პლასტიურობა, სიტყვის ოსტატურად დამუშავება. მისი ენა მოქნილია, ფერადოვანი და კრისტალური. გასაოცარია მისი ლექსიკის სიმდიდრე. სამშობლოდან გარდახვეწილმა, როგორ შეინარჩუნა ასეთი მარაგი! ამ შემთხვევაში გურამიშვილზე დიდი გავლენა მოუხდენია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონს. ამ პრობლემის გარშემო ჩვენ ცალკე გამოკვლევა მოვახდინეთ, რამაც საყურადღებო ეფექტი მოგვცა.

გურამიშვილის ძლიერი და უბრალო ლექსი, მისი ელემენტარული უბრალოება, მისი პოეზიის მთავარ მომხიბვლელობას შეადგენს. ამ მხრივ გურამიშვილის წინამორბედად უნდა ჩაითვალოს პოეტი **გოჩა** წარსულში (გოჩა ხალხური პოეტია, დღემდის უცნობი, რომელსაც ცალკე გავაცნობთ მკითხველს) ხოლო მომავალში მის გამაგრძელებლად ვაჟა ფშაველა, რომელიც გურამიშვილს თავის „წინამორბედს“ უწოდებს სამართლიანად.

თუ რითმა არის ლექსის ჰარმონია, ეს უნდა ითქვას გურამიშვილის რითმაზე, რომელსაც ბადალი არა ჰყავს მისი დროის პოეზიაში. და ბოლოს გურამიშვილმა პირველმა შემოიღო ქართულ პოეზ

საომარი მოქმედება ევროპასა და აფრიკაში

გერმანიის სარწმუნოების ცნობა

ბერლინი, 13 აგვისტო (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო აქვეყნებს გერმანიის სარდლობის შემდეგ ცნობას:

„12 აგვისტოს განმავლობაში გერმანიის თვითმფრინავების ესკადრილიამ იერიში მიიტანა ინგლისის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთის სანაპიროს ნავსადგურებსა და აეროდრომებზე. პორტსმუტის სამხედრო ნავსადგური გააფთრებული ბომბარდირების ობიექტი იყო. იწვის დიდი ელექტროსადგური და ვოსპერის გემსაშენი. ყუმბარებმა დააზიანეს დოკები და ნავსადგურის ნაგებობანი. გააფთრებული საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოგდებულია მტრის 43 თვითმფრინავი. მანსტონის, კენტერბერის, ჰაკინსისა და ლიმპნის აეროდრომებზე მოვსპეთ და ნაწილობრივ დავწვით ანგარები, სახელოსნოები და სასამსახურო სადგომები. მანსტონის აეროდრომზე ინგლისის ავიაგამანადგურებელთა ესკადრილიას მივუსწარით აფრენის მომენტში. იქ „ჰარიკეინის“ ტიპის სამი თვითმფრინავი მოსპობილია ჰაერში და ოთხი—მიწაზე. სხვა პუნქტებში მოსპობილია, როგორც სჩანს, მიწაზე მყოფი 8 თვითმფრინავი. დუვრის მახლობლად ჩვენმა თვითმფრინავებმა ცეცხლი წაუკიდეს 2 მისაბმელ აეროსტატს. ამის შემდეგ გამართული საჰაერო ბრძოლის დროს მტერმა 30 თვითმფრინავი დაჰკარგა.

ზღვაში, საუსენდის აღმოსავლეთით მოპიკრე ყუმბარმშენებმა იერიში მიიტანეს სავაჭრო გემების ქარავანზე, რომელსაც ძლიერი ბადრაგა ახლდა, და, გამანადგურებელი ავიაციისა და საზენიტო არტილერიის ძლიერი ცეცხლის მიუხედავად, ტორპედირებულ იქნა ორი საქონლით დატვირთული გემი, ერთი ტანკერი და ერთი ნაღმსაწინააღმდეგო გემი. ჩვენ ნაღმსაწინააღმდეგო გემს ხანძარი გაუჩნდა, ხოლო ტანკერი ჩაიძირა. ორი გემი, რომელთა საერთო წყალწყვა 5.500 არეგისტრო ბრუტო-ტონას შეადგენს. მესამე გემზე ხანძარი გაჩნდა.

12 აგვისტოს, ღამით, აღნიშნული იყო სუენსისა და კარდიფის მახლობლად გემების ბომბარდირება და აგრეთვე პლიმუტის მახლობლად და ჰამბერის შესართავში დადგმული საზენიტო ბატარეებისა და პროჟექტორების ბომბარდირება. ინგლისის ნავსადგურების შესასვლელთან ჩაწყობილია ახალი ნაღმები.

12 აგვისტოს, ღამით, ინგლისის თვითმფრინავებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს გერმანიის ჩრდილოეთ და დასავლეთ ნაწილის ზოგ ადგილს, მაგრამ საგრძნობი ზიანი ამას არ გამოუწვევია. ინგლისის ოთხი თვითმფრინავი გერმანიის საზენიტო არტილერიამ ჩამოაგდო გერმანიის ტერიტორიაზე.

მტრის საერთო ზარალი გუშინდელი დღის განმავლობაში შეადგენს 92 თვითმფრინავს, მათგან 12 მოსპობილია მიწაზე, ოთხი ჩამოგდებულია საზენიტო არტილერიის მიერ და დანარჩენი — საჰაერო ბრძოლაში. გერმანიის 24 თვითმფრინავი თავიანთ ბაზაში არ დაბრუნებულა.

ბრძოლა, რომელიც ჩრდილოეთ ზღვაში სწარმოებდა გერმანიის რამდენიმე ნაღმიან ტრალერსა და ინგლისის სწრაფმავალ კატარღებს შორის, გერმანელთა სასარგებლოდ დამთავრდა. ფიქრობენ, რომ ინგლისის ერთი კატარღა თავის ნავსადგურში არ დაბრუნებულა მაშინ, როდესაც გერმანიის ტრალერები არ დაზიანებულან და შესძლეს დასახული გეგმით განეგრძოთ მოქმედება“.

გერმანიის ცნობა ინგლისის ზარალის შესახებ 13 აგვისტოს

ბერლინი, 13 აგვისტო (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ „დღემდე მიღებული ცნობებით, დღევანდელ საჰაერო ბრძოლაში ჩამოგდებულია ინგლისის 38 თვითმფრინავი და მიწაზე მოსპობილია 15 თვითმფრინავი. გარდა ამისა, ოლბორგის (დანია) მახლობლად ჩამოგდებულია 16 თვითმფრინავი. ამგვარად, ინგლისელებას ზარალი დღის პირველ ნახევრის განმავლობაში 69 თვითმფრინავს აღწევს. გერმანიის 13 თვითმფრინავი თავიანთ ბაზაში არ დაბრუნებულა“.

იტალიის სარწმუნოების ცნობა

რომი, 13 აგვისტო (საკდესი). სტეფანის სააგენტო აქვეყნებს იტალიის სარდლობის ცნობას, სადაც ნათქვამია: „11 აგვისტოს, 13 საათზე პირველი შეტაკება მოხდა იტალიის ჯარსა და მტრის ძირითად ძალებს შორის, რომლებიც ბრიტანეთის სომალს იცავენ. ჩვენი ძალების შეტევის შედეგად ძლიერი ბრძოლა მოხდა სოფელ ადადლების ზონაში, რომელიც დაკავებულ იქნა. ბრძოლა გრძელდება. იმავე ზონაში ჩვენმა თვითმფრინავებმა ჩამოაგდეს მტრის თვითმფრინავი „ბლენჰეიმის“ ტიპისა. ბრძოლაში ჩვენ ერთი თვითმფრინავი დავკარგეთ.

იტალიის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს საწვავი მასალის საწყობებს მალტის კუნძულზე, რის შედეგად მრავალ ადგილას დიდი ხანძარი გაჩნდა“.

საომარი მოქმედება ბრიტანეთის სომალში

ლონდონი, 13 აგვისტო (საკდესი). რეიტერის სააგენტო აქვეყნებს ინგლისის სამხედრო სარდლობის მიერ კაიროდან გამოგზავნილ კომუნიკეს, სადაც ნათქვამია: „11 აგვისტოს მოწინააღმდეგემ გენერალური იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე. მიუხედავად იმისა, რომ მტერი მცირე სიმაღლეზე მფრინავი თვითმფრინავების ინტენსიური ცეცხლის დახმარებით მოქმედებდა, იერიში ჩვენი ნაწილების საარტილერიო ცეცხლით მოგერიებულ იქნა. ერთ ადგილას მტერმა ის იყო წინ წაიწია, მაგრამ მალე უკუგდებულ იქნა თავის პირვანდელ პოზიციაზე. ინგლისის ქვეითი ჯარის ნაწილების საზენიტო ცეცხლით ჩამოგდებულ იქნა მტრის მძიმე ყუმბარმშენი. სხვა ფრონტებზე მდგომარეობა უცვლელია“.

საჰაერო ბრძოლები ინგლისში

ბერლინი, 13 აგვისტო (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ როგორც გერმანიის ავიაციის გუშინდელი ოპერაციების მიმოხილვაში იყო ნათქვამი, ინგლისის სამხრეთ სანაპიროსთან საჰაერო ბრძოლების დროს პლიმუტთან ჩამოგდებულია მტრის 48 თვითმფრინავი და გერმანიის 12 თვითმფრინავი.

მოპიკირე ყუმბარმშენების თავდასხმის შედეგად ინგლისის გემთა ქარავანზე, რომელსაც ძლიერი ბადრაგა მიჰყვებოდა, საუთენდის აღმოსავლეთით ჩაძირულია ორი სავაჭრო გემი და დაზიანებულია მესამე. ამ ბრძოლის დროს დაიღუპა მტრის ერთი თვითმფრინავი და გერმანიის ერთი თვითმფრინავი. თავდასხმის დროს მენსტონის აეროდრომზე, რომელსაც ეფექტიურად დაუშინეს ყუმბარა, მიწაზე განადგურებულია მტრის 12 თვითმფრინავი, ხოლო ჰაერში—სამი თვითმფრინავი. საჰაერო ბრძოლების დროს კენტერბერის, ლაიმპისა და ჰოკინგის აეროდრომებზე, რომელთაც აგრეთვე წარმატებით დაუშინეს ყუმბარები, მტერმა აქაც მრავალი თვითმფრინავი დაჰკარგა მაშინ, როდესაც გერმანიის მხრივ ზარალი უმნიშვნელო იყო. აქამდე მოსული ცნობების თანახმად, მტრის საერთო ზარალი გუშინდელი დღის განმავლობაში 71 თვითმფრინავს შეადგენს, ხოლო გერმანიამ 19 თვითმფრინავი დაჰკარგა.

ლონდონი, 13 აგვისტო (საკდესი). რეიტერის სააგენტო რადიოთი გადმოგვცემს, რომ, თანახმად უკანასკნელი ცნობებისა საჰაერო ბრძოლების დროს პორტსმუტთან 12 აგვისტოს ჩამოგდებულია გერმანიის 39 თვითმფრინავი, აქედან 32 თვითმფრინავი ჩამოგდებულია ინგლისის ავიაგამანადგურებლების მიერ და 7-საზენიტო არტილერიის მიერ. როგორც გამოირკვა, პორტსმუტთან და ტემზის შესართავთან ბრძოლის დროს გერმანიის მხრივ მონაწილეობას იღებდა 500 თვითმფრინავი.

შემდეგ სააგენტო დასძენს, რომ ავიაციის სამინისტროს უკანასკნელ კომუნიკეში ნათქვამია, რომ 12 აგვისტოს ინგლისის სანაპიროსთან სულ ჩამოგდებულია გერმანიის 61 თვითმფრინავი, ინგლისის ავიაციამ 13 ავიაგამანადგურებელი დაჰკარგა.

ნიუ-იორკი, 13 აგვისტო (საკდესი). როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, 11 აგვისტოს განმავლობაში საჰაერო ბრძოლების დროს დუვრის რაიონის სამხრეთით და სანაპიროზე პორტლენდამდე მონაწილეობას იღებდა 400 თვითმფრინავი.

როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო უეიმუტიდან იუწყება, გერმანიის ავიაციის თავდასხმის შედეგად დახვრეტულია 200 სახლი. როგორც ასოშეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროდან გადმოგვცემს, გერმანიის თვითმფრინავებმა ჯერ იერიში მიიტანეს ჰაერგადამლობავი აეროსტატების წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ დიდი შენაერთებით ყუმბარები დაუშინეს ინგლისის ქალაქებს, რომლებიც სანაპიროების გასწვრივ მდებარეობენ.

ნიუ-იორკი, 13 აგვისტო (საკდესი). როგორც ლონდონიდან იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, მთავარი ბრძოლები ჰაერში დღეს სწარმოებს 250 მილ ფრონტზე, ტემზის შესართავიდან მიყოლებული ლა-მანშის სამხრეთ სანაპირომდე.

ლონდონი, 13 აგვისტო (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 12 აგვისტოს ღამის განმავლობაში გერმანიის ავიაცია დიდ აქტივობას იჩენდა ინგლისისა და უელსის სხვადასხვა ნაწილებში. ყუმბარები ჩამოგდებულია ინგლისის სამხრეთ - აღმოსავლეთ, ჩრდილოეთ-დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში. სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისის ერთერთ სოფელში ყუმბარებით დაზიანებულია ეკლესია. გერმანიის ყუმბარმშენებმა ექვსი ყუმბარა ჩამოაგდეს დიდი სიმაღლიდან, რის გამო მრავალი სახლი შეირყა. გერმანიის ყუმბარმშენებმა დღეს, დილით, იერიში მიიტანეს უელსზე. თავდასხმამ რამდენიმე საათს გასტანა. ყუმბარები ჩამოგდებულია ზღვის პირას მდებარე ერთერთ ქალაქში, სადაც დაზიანებულია სახლები და არის რამდენიმე მსხვერპლი. გერმანიის თვითმფრინავები გამოჩნდნენ სხვადასხვა რაიონებში და მათ საზენიტო არტილერიის ცეცხლით შეხვდნენ.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 13 აგვისტო (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტრო იუწყება: „11 აგვისტოს განმავლობაში ჩვენმა ავიაციამ დიდი სიმაღლიდან ყუმბარა დაუშინა გერმანელების მიერ დაკავებულ საფრანგეთის აეროდრომებს დინარსა და კაენში, აგრეთვე აეროდრომებს ბრესტში, რომელიც დაზიანებულია. გარნსის აეროპორტს კვლავ დაუშინეს ყუმბარა. საზვერავი გაფრენის დროს ჩვენმა სანაპირო დაცვის ესკადრილიამ ზღვაში ჩამოაგდო მტრის ავიაგამანადგურებელი საფრანგეთის სანაპიროსთან. ჩვენი ბომბარდირების მთავარი ობიექტი გუშინ, დამით, კვლავ ნავთსაცავები იყო. აღნიშნულია ძლიერი აფეთქება დორტმუნდის ქიმიურ ქარხანაში. ნავთსახდელ ქარხანას კასტროფში (რაუქსელი) ცეცხლი გაუჩნდა. 50-ზე მეტი ფუგასური ყუმბარა ჩამოგდებულია გელზენკირხენისა და ვანე-ეიკელეს ქარხნებში. აღნიშნულია ოთხი პირდაპირი მოხვედრება დორტმუნდისა და ჰატინგენის ელექტროსადგურის შენობებში. ყუმბარა დავუშინეთ სამხედრო ობიექტებს დიუსელდორფში, ჰამესა და სესტში, აგრეთვე მტრის მრავალ აეროდრომებს. ყველა ამ ოპერაციაში ჩვენმა ავიაციამ სამი თვითმფრინავი დაკარგა“.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 13 აგვისტო (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, კაიროში გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია: „დასავლეთ უდაბნოში არსებითი რამ არაფერი მომხდარა. სუდანსა და პალესტინაში საომარი ოპერაციები არ სწარმოებდა. როგორც ბრიტანეთის სომალიდან იუწყებიან, იქ ფრონტებზე სიწყნარეა. მტრის წინსვლა შეჩერებულია. მზვერავი რაზმების ცნობებით, კენიაში მტერს ჯერ კიდევ უკავია პუნქტი დებელი (იტალიის სომალის საზღვრის მახლობლად)“.



სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი. სურათზე: ფუნიკულორის ზემო ტაფობის სადგურის შენობა.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა)

მზადება თეატრალური სეზონისათვის

ვარჯანიშვილის სახელობის თეატრში

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დასი საზაფხულო შესვენების შემდეგ უკვე შეიკრიბა და შეუდგა მოსამზადებელ მუშაობას ახალი სეზონისათვის. სეზონის პირველ პრემიერად თეატრი უჩვენებს ლ. არდაზიანის მოთხრობის ინსცენირებას „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილს“, რომელსაც სდგამს რეჟისორი ვ. ტაბლიაშვილი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისათვის თეატრი ამზადებს ნ. პოგოდინის „კრემლის ქურანტებს“. პიესას დასდგამს რეჟისორი ვ. ტაბლიაშვილი, რომელიც მივლინებული იყო მოსკოვში დრამატურგთან კონტაქტის დასამყარებლად და პიესის ტექსტის დასადგენად.

ახალ სეზონში თეატრი დასდგამს ორ ქართულ პიესას თანამედროვე თემაზე: ვ. გაბესკირიას დრამას „შრიალებენ ვერხვები“ და ს. მთვარაძის კომედიას „ხარბი“.

ჭუთაისის თეატრში

ჭუთაისის მესხიშვილის სახელობის თეატრი უკვე შეუდგა მზადებას სეზონისათვის. დასი, რომელიც შეივსო საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულებით (12 მსახიობი), ამზადებს „ნინოშვილის გურიას“. მეორე პრემიერად დაიდგმება ვ. შალიკაშვილის „უნიადაგონი“. სეზონის გახსნა განზრახულია სექტემბრის პირველი რიცხვებისათვის.

უმჯობინეული მმობიარობა

დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის საქმე სტალინური კონსტიტუციით უმაღლეს საფეხურზეა აყვანილი, ზრუნვა ცოცხალ ადამიანზე, პარტიისა და მთავრობის უპირველესი, გადაუდებელი ამოცანაა.

ჩვენს ქვეყანაში უმტკივნეულო მშობიარობას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. მშობიარობის გაუმტკივნეულების იდეამ საბჭოთა კავშირში და, კერძოდ, საქართველოში ექნთა მასები ადამოძრავა. ყველა სამეანო-გინეკოლოგიურ დაწესებულებაში უმტკივნეულო მშობიარობის ჩატარება მასობრივ ხასიათს იღებს.

მშობიარობის გაუმტკივნეულების პრობლემა დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში გადაჭცეულია ექიმთა სსპეკულაციად და გასამდიდრებელ წყაროდ. იქ მედიცინა და მისი მიღწევები ხელმისაწვდომია მხოლოდ პრივილეგიური კლასებისათვის და უფლება უმტკივნეულო მშობიარობაზე მხოლოდ „ჩრეულთა“ ფედრია. ბურჟუაზიული პროფესურა და რელიგიის მსახურნი ცინიკურად აცხადებენ, ქალი მშობიარობით უნდა იტანჯებოდესო, სამშობიარო ტკივილებში უდიდესი პოეზია არის ჩაქსოვილიო.

საბჭოთა მედიცინამ გადაჭრით უკუაგდო ეს უაზრო დებულება და დაამტკიცა, რომ სამშობიარო ტკივილები სავალდებულო არ არის, და წამოაყენა მშობიარობის გაუმტკივნეულების პრობლემა, როგორც დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის ერთერთი აქტუალური ამოცანა.

ორდენოსანი საქართველოს სამეანო-გინეკოლოგიურმა კლინიკებმა და სამშობიარო დახმარების სხვა დაწესებულებებმა მშობიარობის გაუმტკივნეულების საკითხში დიდი მუშაობა ჩაატარეს და კარგ შედეგებსაც მიაღწიეს.

მშობიარობის დაახლოებით 45 პროცენტმა გამოსცადეს ჩვენში უმტკივნეულო მშობიარობის სიხარული. მშობიარობის გაუმტკივნეულება უნდა შევიტანოთ მთელი ჩვენი სამშობიარო ქსელის სამუშაო გეგმაში. ჩვენს სამშობიარო დახმარების ქსელში უნდა ტარდებოდეს უმტკივნეულო მშობიარობა—ასეთია ახლა ჩვენი ამოცანა.

ვ. გიგინეიშვილი.

საქ. ჯანსახკომის სამშობიარო დახმარების სამმართველოს უფროსი.

საზამთრო, ნესვი და ყურძენი

თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებში დიდი რაოდენობით, შემოიტანეს კახური საზამთრო. მაიდანზე გამოყოფილია სპეციალური ბაქანი ფარდულითურთ, სადაც საზამთროს ჰყიდიან. შემოვიდა აგრეთვე ნესვის პირველი პარტია. გასულ ზაფხულთან შედარებით, ნესვი წელს ადრე დამწიფდა და უფრო ტკბილია.

საკოლმეურნეო ბაზრებში უკვე იყიდება შვენიერი ყურძენი. გაძლიერდა ბადრიჯნის, პომიდორისა და კიტრის შემოზიდვა.

ხელფასის გამოანგარიშების ახალი ცხრილი

გამომცემლობა „ტექნიკა და შრომამ“ გამოსცა ამხ. კ. მიმინოშვილის მიერ ლ. მამისაშვილის ხელმძღვანელობითა და დახმარებით შედგენილი ხელფასის გამოანგარიშების ახალი ცხრილი.

ცხრილი მარტივია და მცირე მოცულობისაა (დაბეჭდილია 30×42 სმ. ფორმატის ქაღალდზე), რაც საშუალებას აძლევს აღრიცხვის მუშაკს სწრაფად და ოლად გამოიანგარიშოს მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი.

ხუთიგნები პასუხისგებაში

○ **18 აგვისტოს** ტროლეიბუსის ვაგონში მოქ. შოთა კონსტანტინეს-ძე მიქაძემ ჩხუბი ასტეხა, სცემა და დაასისხლიანა მოქ. ლ. შ., დაბრკოლა მოძრაობა. შ. მიქაძე დააპატიმრეს მე-13 სამილიციო განყოფილების თანამშრომლებმა.

○ **მუხრანის ჭუჩაზე** ახალი სახლების სამშენებლო მოედანზე დებოში ასტეხა შრომებლმა მუშამ პავლე ივანეს-ძე ევსიკოვმა. იგი მე-10 სამილიციო განყოფილებაში წაიყვანეს.

○ **14 აგვისტოს** რესტორან „კოლხიდაში“ ჩხუბი ასტეხეს მიხეილ დავითის-ძე ელიზაროვმა და შალვა ზაქარიას-ძე მარგიშვილმა. დაამტვრიეს ჭურჭელი და გადაბრუნეს სასადილო მაგიდა. პირველი სამილიციო განყოფილების თანამშრომლებმა წესრიგის დამრღვევნი დააპატიმრეს.

○ **სტალინის რაიონის** დაბურულ ბაზარში, 14 აგვისტოს ჩხუბი და აყალ-მაყალი ასტეხა კარაპეტ მელიქის-ძე მერაბიანმა. მან სცემა უდანაშაულო მოქალაქეებს და წესრიგის აღსადგენად მისულ მილიციელს. ხულიგანი დაპატიმრებულია. ხულიგნები მიცემულნი არიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

საბჭოთა-ავღანეთის გმირი ამხ. ი. ხმალაძე გორში

გორი, 14 აგვისტო (საკ. კორ.). გუშინ გორში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. ი. ხმალაძე. მან ინახულა სახლი, სადაც დაიბადა და თავისი ბავშვობა გაატარა დიდმა **სტალინმა.**

იმავე დღეს ამხ. ხმალაძე გორიდან გაემგზავრა.

სოღანღუღის ველის მორწყვა

სოღანლუღის ველი უნდა გადაიქცეს ობილისათვის საჭირო ბოსტნეულის ბაზად. აქ უნდა მოიყვანონ იმდენი ბოსტნეული (კიტრი, პომიდორი, კომბოსტო, შვნილი და სხვ.) რომ ქალაქის მცხოვრებთა მოთხოვნილების დიდი ნაწილი აქედან დაკმაყოფილდეს. სოღანლუღის ველზე მორწყვება და სპბოსტნედ იჭნება გამოყენებული 6.000 ჰექტარი ფართობი. აქედან მომდინარე წელს უნდა მორწყოს და ათვისებულ იქნას 800 ჰექტარი, 1941 წელს—2.000 ჰექტარი და 1942 წელს—2.300 ჰექტარი.

ველზე სარწყავი სისტემის გასაყვანად სამუშაოები დაწყება შუა აგვისტოდან. არხების გათხრა, საშენ მასალათა ტრანსპორტირება და წყლის გამანაწილებელი ჭალის გაყვანა იკისრეს სოღანლუღის ველის მახლობელი სოფლების კოლმეურნეებმა. მოსავლის აღების დამთავრებისთანავე კოლმეურნეებს ჯადაწყვეტილი აქვთ მასობრივად გამოვიდნენ და შეუდგნენ მუშაობას ფერგანული მეთოდით მიწის სამოშაობის უმოკლეს დროში დასამთავრებლად.

ველი მორწყული იქნება მტკვრის წყლით, რომელსაც მღინარიდან ამოქაჩავენ. საამისოდ მტკვარზე ააგებენ წყალსაქაჩ სადგურს.

სამუშაოების ხელმძღვანელობს წყალთა მეურნეობის სამმართველო.

ფეხბურთი

სრულიად-საქართველოს პირველობის გათამაშება ფეხბურთში

უდიდესი სპორტული ინტერესით მიმდინარეობს სრულიად-საქართველოს პირველობის გათამაშება ფეხბურთში. თბილისის „სპარტაკის“ შეხვედრა ზუგდიდის „დინამოს“ გუნდთან სპარტაკელთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა, ანგარიშით 5:0. ზესტაფონის ნაკრებმა გუნდმა დაამარცხა (2:1) პირველობის ერთერთი ძლიერი პრეტენდენტი — ბათუმის „დინამო“, რომლისც აღნიშნული მატჩის შედეგი გაანპროტესტა.

ამჟამად დაუმარცხებლად მიდის საქართველოს ჩემპიონის საწელწოდების ოთხი უძლიერესი მოცილე — თბილისის „სპარტაკი“, წითელი არმიის სოხუმი სახლის („ოდა“) გუნდი, ზესტაფონის ნაკრები გუნდი და ჭუთაისის „დინამო“. (საქდესი).

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის საორიცხვო სექტორში 3 დღის განმავლობაში უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: ანტონ სტეფანის-ძე ბარამაძოვი, ალექსი პავლეს-ძე ერმაკოვი, შოთა ბარამის-ძე კერიხაძე, აფანასი კუზმას-ძე ლეონოვი, ქსენია ალექსანდრეს-ასული მოსიძე, ალექსი ივანეს-ძე მელიქიძე, დავით ტერენტის-ძე ნებიერიძე, ოლღა ტარასის-ასული ნაკანი, გაჩა ივანეს-ძე ოსიძე, თინა ერმილეს-ასული ფოფხაძე, იოსებ ალექსანდრეს-ძე ფანგელაშვილი, თენგიზ პავლეს-ძე სიგუა, ნატალია ესტატეს-ასული ციცქიშვილი.

საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომი აცხადებს, რომ პარტსაკანდიდატო ბარათი № 1679949, გაცემული დომბრი თეიმურაზის-ძე **პურტაიას** სახელზე, და პარტსაკანდიდატო ბარათი № 1975388, გაცემული ვარლამ ლევანის-ძე **გრიგოლიას** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

ღღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის და **დამკვრელის** (ზამთრის და ზაფხულის) — „ყოველდიურობა“; **ოქტომბერი** — „ოქროს ტბა“; **კომკავშირელი** (ზაფხულის) — „მხიარული ახალგაზრდობა“; **კომკავშირელი** (ზამთრის) — „დიდი ცხოვრება“; **სპარტაკი**—„წითელი ეშმაკუნები“; **ლუჭსემბურგის** სახელობისა და **26 კომისრის** სახელობის (ზამთრის) — „ჩემი სიყვარული; **26 კომ.** სახ. (ზაფხულის) — „ყუბანელები“; **კომინტერნი** — „ელისო“; **ორჯონიკიძის სახ. პარკი** — „დედაკაცნი“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საქსახესზრაღის საზაფხულო თეატრი და ბაღი

პლეხანოვის პროსპ. 123. ტელ. 3-18-50

საზაფხულო თეატრი
სტალინგრადის მუსიკალური კომედიის თეატრის გასტროლები
15 აგვისტოს 1 საბონ. მე-8 წარმოდგენა
კოლომბინა
16 აგვისტ. მე-2 საბონ. მე-3 წარმოდგენა
ამერის ნაპირზე
მხ. ხელმძღვ. **ი. ეროფეევი.**
მთ. დირიჟ. **დ. პალეი.**
დასაწყისი საღ. 9 ს. და 30 წ.

დახურული თეატრი
15 აგვისტოს
კონცერტი
ვ. ლასკა
დასავლეთის სიმღერები (ბელორუსკის)
ვეილანდ როდე
(ზანგის სიმღერები)
დასაწ. საღ. 9 ს. 30 წ.
სწარმოების ბილეთების გაყიდვა

ღია ესტრადა 15 აგვისტოს **ესტრადის მსახიობთა საღამო-კონცერტი**
16, 17, 18 აგვისტოს ბოშური რომანსების შემსრულებლის
ანჯონინა ერემეევას გასტროლები
დაწვრილებით აფიშებში. დასაწყისი საღ. 10 საათზე.

ბაღში უკრავს **ჯაზ-ორკესტრი** ამდურის ხელმძღვანელობით.

თბილისის სახელმწიფო სპომაჯოლოგიური ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს

ზოგადი ქირურგიის კათედრის დოცენტის თანამდებობაზე

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა წარმოდგენილ იქნას:

1. განცხადება ინსტიტუტის **დირექტორის** სახელზე
2. კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი
3. ავტობიოგრაფია
4. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ასლი, სათანადოდ შემოწმებული.
5. მეცნიერული ხარისხში და სამეცნიერო წოდებაში დამტკიცების ცნობა.
6. პოლიტიკური და საქმიანი დახასიათება.
7. მეცნიერული შრომების სია.
8. მეცნიერული შრომები და რეცენზიები მათზე.

კონკურსის ვადა—1 თვე დღიდან გამოცხადებისა.

თბილისი, კრილოვის ქ. № 2.

1103 თბილისის სახ. სტომატოლოგიური ინსტიტუტის **დირექცია.**

საქ. სარეწაო საბჭოს სასწავლო კომბინატი

1940-41 სასწავლო წელს აწარმოებს მოწაფეების მიღებას პროფტექნიკურ სკოლაში, შემდეგ განყოფილებებზე

ა) ჭრა-კერვის; ბ) ფეხსაცმელების შეკეთების, გ) ხალიჩების ქსოვის

1. პროფტექნიკურ სკოლაში მიიღებიან ორივე სქესის მოზარდნი 15-დან 18 წლამდე, რომელთაც დამთავრებული აქვთ 5—6—7 კლასი.

2. პროფტექნიკურ სკოლაში პირველ რიგში მიიღებიან სარეწაო საბჭოს არტელებიდან მოვლინებულნი.

3. სკოლაში ჩარიცხულთ მიეცემათ სტიპენდია 65-დან 100 მანეთამდე და მიღებულთა 50 პროც. უზრუნველყოფილი იქნება საერთო საცხოვრებლით.

4. განცხადების მიღება იწარმოებს 25 აგვისტომდე.

5. განცხადებას თან ერთვის: ა) ცნობა განათლების შესახებ. ბ) მეტრიკული ამონაწერი, გ) ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, დ) პასპორტი (წარმოადგინონ პირადად).

6. მისაღები გამოცდები იწარმოებს 25-დან 29 აგვისტომდე შემდეგ საგნებში: ა) მშობლიური ენა (წერა, ზეპირი). ბ) რუსული ენა (წერა, ზეპირი), გ) არითმეტიკა (წერა, ზეპირი)

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

კონკრეტული პირობების გაგება შეიძლება წერილობით და პირადად ყოველდღე სკოლის დირექტორთან.

მისამართი: ქ. თბილისი, კიროვის რაიონი, ბაირამოვის ქ. № 48.

1107 **დირექტორი ავ. დარჩია.**

საქართველოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატი აცხადებს მილებას

საბჭოთა ვაჭრობის თბილისის ტექნიკუმში

1940—41 სასწ. წლისათვის

კურსდამთავრებულ ფრიადოსანთა 5% უმაღლეს სასწავლებლებში მიიღებიან უგამოცდოდ სპეციალობის მიხედვით, დანარჩენებს უფლება ეძლევათ განაგრძონ სწავლა დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებლებში, წარმოებიდან მოუწყვეტლივ. საქონელთმცოდნეობის განყოფილება ამზადებს სამუალო კვალიფიკაციის საქონელთმცოდნეებს, მაღაზიის გამგეებს, მის მოადგილეებს და სექციონერებს.

საღრიცხვო განყოფილება ამზადებს ვაჭრობის დარგში ბუხჰალტრებს, უფროს მოანგარიშეებს და სტატისტიკოსებს.

მისაღები გაძოცდები შვიდწლედის ფარგლებში,

მიღება იწარმოებს ქართულ სექტორში: საბუხჰალტეროდ და სასურსათო საქონელთმცოდნეობის განყოფილებაზე.

რუსულ სექტორში: სამრეწველო საქონელთმცოდნეობის განყოფილებაზე განცხადებასთან წარმოდგენილ უნდა იქნეს დოკუმენტები საერთო წესით. ტექნიკუმში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით და საერთო საცხოვრებლით, საერთო წესით.

განცხადებების მიღება იწარმოებს აგვისტოს 20-დე.

გამოცდების პერიოდში უბინაოები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

მისაღები გამოცდები 20 აგვისტოდან 27 აგვისტომდე, სწავლის დასაწყისი 1940 წლის 1 სექტემბრიდან. ყოველგვარი ცნობებისათვის მიმართეთ შემდეგი მისამართით: თბილისი, კეცხოველის ქუჩა № 12. საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმი, ტელეფონი № 3—57—81.

დილის 9-დან 3-საათამდე.

1102 **ტექნიკუმის დირექცია.**

თბილისის პირველი საუერშლო სკოლა

მომავალი 1940/41 სასწავლო წლისათვის აცხადებს მოსწავლეთა მილებას ქართულ და რუსულ სექტორებზე

სკოლა ამზადებს ეკიმის თანაშემწეებს ფერშლის წოდების მინიჭებით. სკოლის კურსდამთავრებულს, სათანადო სტაჟის გავლის შემდეგ, უფლება აქვს შევიდეს უმაღლეს სასწავლებელში. სწავლის ხანგრძლივობა სამი წელიწადია, მეცადინეობა სკოლაში სწარმოებს საღამოთი მიღებული მოსწავლეები უზრუნველყოფილნი იქნებიან სტიპენდიით არსებულ წესის მიხედვით და საერთო საცხოვრებლით შესაძლებლობის ფარგლებში. სკოლაში მიიღებიან სათანადო გამოცდის შემდეგ ორივე სქესის მოქალაქენი 15-დან 35 წლამდე, რომელთაც აქვთ მიღებული განათლება არანაკლებ არასრული საშუალო სკოლისა. გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში: 1) ქართულ ენაში (წერა-ზეპირი), 2) რუსულ ენაში (წერა-ზეპირი), 3) მათემატიკაში (წერა-ზეპირი), 4) ფიზიკაში, 5) გეოგრაფიაში და 6) ისტორიაში.

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ფრიადოსნები, საშუალო სკოლისა. მუშფაკებისა და ტექნიკუმების კურსდამთავრებულები.

განცხადებების მიღება სწარმოებს დირექტორის სახელზე 20 აგვისტომდე. გამოცდები იწარმოებს 21-დან 25 აგვისტომდე. განცხადებასთან ერთად უნდა წარმოდგენილ იქნას: 1) სკოლის დამთავრების მოწმობა (აუცილებლივ დედანი), 2) მეტრიკული ამონაწერი, 3) ცნობა ჯანმრთელობის შესახებ და 4) ორი შემოწმებული ფოტოსურათი.

სწავლა დაიწყება პირველ სექტემბერს.

სკოლის მისამართი: თბილისი, ტექნიკური ქ. № 8. მეორე სართული. პირველი საფეხლო სკოლა.

1119 **სკოლის დირექტორი: პროფ.